

**დონალდ ტრამპი:**

# ისრაელი და ირანი ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, მაგრამ...

# ისრაელის სამხედრო ავიაციამ თეირანში რადარი დაბომბა!

**დონალდ ტრამპის და ბენიამინ ნეთანიაჰუს საუბრის შემდეგ ისრაელის სამხედრო ავიაციამ თეირანში რადარი დაბომბა, თუმცა ავიაგამანადგურებლების დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა,** – ამის შესახებ ისრაელის მედია წერს.

**ეს იყო საპასუხო ქმედება ირანიდან ორი ბალისტიკური რაკეტის გაშვებაზე.**

**აშშ-ის პრეზიდენტმა სოციალური ქსელის მეშვეობით ისრაელს მოუწოდა, არ ჩამოეყარა ბომბები ირანში და პილოტები უკან დაებრუნებინა. ამის შემდეგ ტრამპმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ სატელეფონო საუბარი გამართეს, რა დროსაც, გავრცელებული ინფორმაციით, შეთანხმდნენ, რომ ირანის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის საპასუხოდ ერთ „სიმბოლურ“ სამიზნეს დაარტყამდნენ.**

**მოგვიანებით, აშშ-ის პრეზიდენტმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევაში როგორც ირანი, ასევე ისრაელიც დაადანაშაულა.**


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№90 (9921) 2025 წლის 25 ივნისი, ოთხშაბათი


**თეიმურაზ ქორიძე:**

# ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი...

იხ. 4 გვ.




## ჩვენ, საქართველოს პატიოსანი მოქალაქეები, ხელისუფლებისგან ბოდიშს ვიმსახურებთ!

**გელა გელაძე:**



3

## უკომპრომისო ბრძოლა ნარკო-დანაშაულის წინააღმდეგ




5

## კაროლ ნავროცკი ერთი კაი ბიჭი გდანსკიდან...

## ჯეიმს ბონდი კახურ ღვინოზე გადავიდა!..




9

# მხოლოდ მთავარზე

**პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, პირველი ნოემბრიდან საჯარო სამსახურში ერთზე მეტ ანაზღაურებად თანამდებობაზე დასაქმება დაუშვებელი იქნება.**

* * *



**შევხდი ფილიპ ფინკს „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან“, რათა განმეხილა ქართველი ხალხის ბრძოლა დემოკრატიული და ევროპული მომავლისთვის,** – ამის შესახებ პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ გუშინ სოციალურ ქსელში დაწერა.

* * *

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **პიტერ სიიარტო** აცხადებს, რომ უკრაინის ნატოში წევრობის საკითხის სამიტის დღის წესრიგიდან მოხსნით, რუსეთთან პირდაპირი კონფრონტაცია თავიდან იქნა აცილებული.

**„ნატოს მოახლოებული სამიტი არის პირველი 2022 წლის შემდეგ, სადაც ფოკუსი არა უკრაინისადმი მხარდაჭერის გაძლიერებაზე, არამედ ალიანსის და კოლექტიური თავდაცვის გაძლიერებაზეა. ვინაიდან უკრაინის ნატოში წევრობა დღის წესრიგიდან მოიხსნა, რუსეთთან პირდაპირი კონფრონტაცია თავიდან აცილებულია. რაციონალიზმმა გაიმარჯვა“,** – წერს უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

**სულიკო ჟღენტი**

## უკვდავი კინო-სცენარისტი

12




**თემო ნაცვლიშვილი**



7

## მეგზური ქართველთა იდენტობის სივრცეში

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

## დონალდ ტრამპი:

# ისრაელი და ირანი ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ

**„ვულოცავ ყველას! ისრაელი და ირანი სრულად შეთანხმდნენ, რომ იქნება სრული და უპირობო ცეცხლის შეწყვეტა (აქედან დაახლოებით ექვს საათში, როდესაც ისრაელი და ირანი შეწყვეტენ და დაასრულებენ საბოლოო მისიებს) 12 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც ომი დასრულებულად ჩაითვლება.**

**ოფიციალურად ირანი დაიწყებს ცეცხლის შეწყვეტას. შემდეგი 12 საათის განმავლობაში ისრაელი დაიწყებს ცეცხლის შეწყვეტას და 24 საათის შემდეგ მსოფლიო 12-დღიანი ომის დასასრულს მიესალმება. თითოეული ცეცხლის შეწყვეტის დროს მეორე მხარე დარჩება მშვიდობიანად და პატივისმცემლად. იმ პირობით, რომ ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც საჭიროა – და ასეც მოხდება – მინდა, მივულოცო ორივე ქვეყანას, ისრაელსა და ირანს გამძლეობის, გამბედაობისა და ინტელექტის გამო, რათა დაესრულებინათ ის, რასაც „12-დღიანი ომი“ უნდა ვუწოდოთ.**

**ეს არის ომი, რომელიც შეიძლებოდა, წლების განმავლობაში გაგრძელებულიყო და მთელი ახლო აღმოსავლეთი გაენადგურებინა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და არც არასდროს მოხდება! ღმერთმა დალოცოს ისრაელი, ღმერთმა დალოცოს ირანი, ღმერთმა დალოცოს ახლო აღმოსავლეთი, ღმერთმა დალოცოს ამერიკის შეერთებული შტატები და ღმერთმა დალოცოს მსოფლიო!“**




## ირანი ბირთვული ინდუსტრიის აღდგენას გეგმავს



**ირანი ბირთვული ინდუსტრიის აღდგენას გეგმავს,** – ამის შესახებ ირანის ატომური ენერგიის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **მოჰამედ ესლამიმ** განაცხადა.

ესლამის თქმით, ამჟამად ირანი აფასებს ზიანს, რომელიც მიაყენეს ბირთვულ ინდუსტრიას და ემზადებიან აღსადგენად.

**„გეგმა ითვალისწინებს წარმოებისა და მომსახურების პროცესში შეფერხებების თავიდან აცილებას“**, – განაცხადა **ესლამიმ.**

მანამდე, ირანში არაერთმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ ქვეყნის ბირთვული პროგრამა ეყრდნობა ბირთვულ ცოდნას, რომლის განადგურება შეუძლებელია.

## ბრიუსელიდან ისევ „გვესვრიან“!



**„გუშინ ჩვენ ვიხილეთ ბრიუსელიდან ქართულ სახელმწიფოზე თავდასხმების მთელი წყება, რაც ბოლო პერიოდში სამწუხარო ტენდენციად იქცა“**, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** სოციალურ ქსელში წერს.

**ამგვარი თავდასხმები განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმ პირობებში, როდესაც ევროკავშირის და მისი ზოგიერთი წევრის საბიუჯეტო თანხებიდან დადასტურებულად ფინანსდება:**

**პროპაგანდა და დეზინფორმაცია;**

**სიძულვილის კამპანია და დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის ძირის გამოთხრა;**

**პოლიტიკური ნიშნით დევნა და ექსტრემიზმი!**

ნაცვლად ამ ლეგიტიმურ და ფაქტებზე დაფუძნებულ კითხვებზე პასუხისა, ქართველი ხალხი იღებს პოლიტიკურად მოტივირებულ თავდასხმებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის გაცხადებულ ღირებულებებთან.

მნიშვნელოვანია, რომ ბრიუსელი დაუბრუნდეს ევროკავშირის საბაზისო ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის უფლებების პატივისცემა და სამართლის უზენაესობა.

მნიშვნელოვანია, რომ ნაცვლად კითხვებისგან გაქცევისა, ყველა დონორი მოიქცეს პასუხისმგებლობით და ლეგიტიმურ კითხვებს გამჭვირვალედ გასცეს პასუხი.

## ირანის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევას ისრაელი ძალით უპასუხებს

**ისრაელის თავდაცვის ძალების შტაბის უფროსი ეიალ ზამირი აცხადებს, რომ ირანის რეჟიმის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უხეში დარღვევის გათვალისწინებით, ისრაელი ძალით უპასუხებს.**

ისრაელის მთავრობა ირანს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებს. მანამდე, ისრაელის პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ძლიერ რეაგირებას მოახდენდა ზავის ნებისმიერ დარღვევაზე. პარალელურად, ისრაელის საკანონმდებლო ორგანოს წევრები ირანის წინააღმდეგ საპასუხო მოქმედებებს ითხოვენ.

**„თეირანი შეირყევა“**, – დაწერა სოციალურ ქსელში ისრაელის ფინანსთა მინისტრმა ბეზალელ სმოტრიჩმა. ისრაელის ოპოზიციური პარტია „ისრაელ ბეიტენუს“ თავმჯდომარე ავიგდორ ლიბერმანი აცხადებს, რომ ისრაელმა სასწრაფოდ უნდა უპასუხოს ირანის მხრიდან ზავის დარღვევას...

### ურსულა ფონ დერ ლაიენი:

## ევროპა მიესალმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დონალდ ტრამპის განცხადებას!

**ევროპა მიესალმება დონალდ ტრამპის განცხადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მოვუწოდებთ ირანს, სერიოზულად ჩაერთოს სანდო დიპლომატიურ პროცესში,** – ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი სოციალურ ქსელში წერს.

**„ევროპა მიესალმება დონალდ ტრამპის განცხადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია რეგიონში სტაბილურობის აღდგენისკენ. ეს ჩვენი კოლექტიური პრიორიტეტი უნდა იყოს. მოვუწოდებთ ირანს, სერიოზულად ჩაერთოს სანდო დიპლომატიურ პროცესში, რადგან მოლაპარაკებების მაგიდა კვლავ ერთადერთ სიცოცხლისუნარიან გზად რჩება“**, – წერს ევროკომისიის პრეზიდენტი.



## მარიამ ქვრივიშვილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობას მარიამ ქვრივიშვილი დაიკავებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გუშინ განაცხადა.

**„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობას დაიკავებს მარიამ ქვრივიშვილი, მას იცნობთ ყველა, შესაბამისად, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. როგორც მოგეხსენებათ, მარიამ ქვრივიშვილი არის მმართველი პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი, დღემდე ის იკავებდა ეკონომიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობას, სადაც ძალიან დიდი წარმატებით უძღვებოდა ისეთ მიმართულებებს, როგორიც არის ტურიზმი და ავიაცია. დღეს ფართოვდება მისი საქმიანობის არეალი და დარწმუნებული ვარ, რომ მინისტრის პოზიციაზე ის იქნება ისეთივე წარმატებული, როგორიც იყო შესაბამისი დარგების ხელმძღვანელობისას. წარმატებები მინდა, ვუსურვო მარიამ ქვრივიშვილს მინისტრის პოსტზე“**, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

---

## ლევან დავითაშვილი პრემიერ-მინისტრის მთავარ მრჩევლად და ეკონომიკური საბჭოს მდივნის თანამდებობაზე დაინიშნა



**აღნიშნულის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე პრემიერმა დავითაშვილის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი დანიშნა.

ლევან დავითაშვილს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პოსტი 2022 წლის 9 თებერვლიდან ეკავა, 2021 წლის 12 ივლისიდან იყო საქართველოს ვიცე-პრემიერიც.

---

## საქართველოს ახალი გენპროკურორი ჰყავს



**საქართველოს პარლამენტმა გენერალურ პროკურორად გიორგი გვარაკიძე აირჩია.**

მის კანდიდატურას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უყარეს კენჭი. გიორგი გვარაკიძეს მხარი დაუჭირა 83 დეპუტატმა. გიორგი გვარაკიძეს გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზეც მოუსმინეს. მან პრიორიტეტებზე, გამოწვევებსა და გეგმებზე ისაუბრა. საპროკურორო საბჭომ გენერალური პროკურორობის კანდიდატად გიორგი გვარაკიძე ხმათა უმრავლესობით 18 ივნისს აირჩია.

ჩვენი საქართველო
რესპუბლიკა



**24 ივნისს, დილით, გამთენიისას, თბილისსა და რეგიონებში ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკულ დანაშაულში მხილებული 18 პირი დააკავეს!**

# უკომპრომისო ბრძოლა ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ

**დღეს დილით, გამთენიისას, თბილისსა და რეგიონებში ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების შედეგად, დავაკავეთ ნარკოტიკულ დანაშაულში მხილებული 18 პირი,** – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა **გელა გელაძემ** ბრიფინგზე.

**– საზოგადოებას მინდა მივაწოდო ინფორმაცია ჩვენ მიერ ჩატარებული მასშტაბური საპოლიციო ღონისძიების შესახებ – დღეს დილით, გამთენიისას, თბილისსა და რეგიონებში ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების შედეგად, დავაკავეთ ნარკოტიკულ დანაშაულში მხილებული 18 პირი, რომელთაგან ნაწილს – ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაცია, ხოლო ნაწილს უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ ბრალად.**

**მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციისათვის დაკავებული პირები, სისტემატურად აორგანიზებდნენ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციას – მათ შორის, სხვადასხვა ლოკაციაზე ნარკოტიკული საშუალებების განთავსებას და შესაბამისი შეტყობინებების გადაცემას, ნარკოტიკული საშუალების შეძენით დაინტერესებულ პირებზე; ასევე, ხორციელდებოდა ნარკოტიკების რეალიზაცია ე.წ. ხელიდან ხელში გადაცემისა, თუ სხვა მეთოდებით.**

**პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციის ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. ჩვენი თანამშრომლების მიერ, ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჩვენ მიერ, ნივთმტკიცებად, ასევე ამოღებულია დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკული საშუალებები, ნარკოტიკული საშუალების დაფასოებისთვის საჭირო მასალები და სავარაუდოდ, ნარკოტიკის უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა. დანაშაული 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა – ამის დასტურია ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამკაცრა სასჯელი ნარკოტიკების რეალიზაციისთვის. შესაბამისად, ჩვენ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სრული შემადგენლობით გავაგრძელებთ ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და გავრცელების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას და ნარკოდანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ, კანონით განსაზღვრული მკაცრი ზომების გატარებას!**



## პრემიერი:
## ნარკო-დამნაშავეებს არ დავინდობთ!

**მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს დღეს ჩატარებული, ძალიან წარმატებული სპეციალური ოპერაციისთვის, ნარკოტიკული დანაშაულისა და ნარკოტიკების რეალიზატორების წინააღმდეგ ხელისუფლება იქნება უკომპრომისო,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

პრემიერის თქმით, გეკა გელაძის მინისტრად დანიშვნიდან თვეზე ნაკლებია გასული და ამ პერიოდის განმავლობაში მან შეძლო 300 კგ. ჰეროინის ამოღება, დღეს კი ნარკოტიკული საშუალებების 18 მსხვილი რეალიზატორი დააკავეს.

# დედაქალაქის მერი თბილისის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებს წარმოგვიჩენს!

**კახა კალაძემ შემაჯამებელ პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა მმართველ პარტიასა და პრემიერ-მინისტრს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების დროს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.**

დღეს ჩვენ კონკრეტულ პროექტებს, ციფრებს, სტატისტიკას წარმოგიდგენთ, თუმცა, დამეთანხმებით, რომ ძალიან რთულია ასახო პრეზენტაციაში ის თავდაუზოგავი შრომა, უამრავი გათენებული ღამე, რაც კონკრეტულ პროექტებს უკავშირდება. ასევე, შეუძლებელია ასახო ის მადლიერება, რაც მოდის საზოგადოების მხრიდან. ხალხი ხედავს, რა კეთდება დედაქალაქში. ძალიან მაგარია, როდესაც ხვდები ადამიანებს და ისინი მადლიერებას გამოხატავენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიმართ. მადლობა დედაქალაქის მოსახლეობას მხარდაჭერისთვის, რადგან 2017 წლიდან მოყოლებული ისინი გვერდში გვიდგანან, გვენდობიან და ჩვენთან ერთად გადიან ქალაქის განვითარების ყველა ეტაპს. ამ მასშტაბის სამუშაოებს თან ახლავს ძალიან დიდი დისკომფორტი, ხმაური, მტვერი, იქმნება გადაადგილების პრობლემა, მაგრამ მოსახლეობა ყველანაირად გვერდით გვიდგას, გვეხმარება და ამისთვის დიდი მადლობა თბილისელებს. შედეგი, რომელსაც ვიღებთ, მნიშვნელოვანია ჩვენი შვილებისთვის და მომავალი თაობებისთვის.

რაც შეეხება უშუალოდ პრეზენტაციას, დედაქალაქის მერმა ხაზი გაუსვა გზების მოწყობა-რეაბილიტაციას და აღნიშნა, რომ 2017 წლიდან მოყოლებული დღემდე ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, თუმცა, ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები.

**„ჩვენ ამ პრობლემების არ გვეშინია, რადგან ზურგს გვიმაგრებს ძალიან დიდი გუნდი, რომელსაც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ჰქვია და პრემიერ-მინისტრი ცენტრალურ მთავრობასთან ერთად. ჩვენი მიდგომა 2017 წლიდან არის ასეთი: სადაც საგზაო სამუშაოებს ვიწყებთ, იქ, პირველ რიგში, მიწისქვეშა კომუნიკაციებს ვაწესრიგებთ. სამწუხაროდ, ბევრ რაიონში ამორტიზებულია ეს ყველაფერი და კრიტიკას ვერ უძლებს.**

**ამიტომაც ჯერ ამ ნაწილს ვანახლებთ და შემდეგ ვაწყობთ საგზაო ინფრასტრუქტურას, რომ ამ პროექტებმა ათეულ წლებს გაუძლოს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ხიდებისა და გზაგამტარების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქში რამდენიმე ესტაკადა ავაშენეთ, საავტომობილო და საფეხმავლო ხიდები განვაახლეთ“...**




მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს ისეთ პროექტებს, რომელიც სანიაღვრე და წყალარინების ქსელის მოწყობას, საყრდენი კედლების მშენებლობას, ფერდების გამაგრებას ეხება.

**„წლების განმავლობაში ძალიან დიდი თანხები იხარჯებოდა ავარიული შენობების გამაგრებისთვის. ჩვენ დავიწყეთ მსგავსი ტიპის სახლების ჩანაცვლების პროგრამაც. დედაქალაქში 10 000-მდე ასეთი შენობა-ნაგებობა გვაქვს. ასევე, გვაქვს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. ერთ კორპუსში მცხოვრებნი ქმნიან ამხანაგობას და იყენებენ მუნიციპალიტეტში არსებულ პროგრამებს. ჩვენ ვაფინანსებთ და ვეხმარებით თუნდაც ლიფტის გამოცვლაში, სახურავის შეკეთებაში, ეზოს მოწესრიგებაში და ა.შ.**

**ასევე, ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია. თბილისს რაც გააჩნია ამ ძეგლების სახით, ეს არის ძალიან დიდი სიმდიდრე, რასაც შენარჩუნება სჭირდება. ჩვენ უკვე განვახორციელეთ ორბელიანის მოედნის, გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია, რომლებიც ადგილობრივებისა და ტურისტებისთვის ერთ-ერთი მიზიდულობის ცენტრია. ამასთან, ჩვენ ინდივიდუალურ პროექტებსაც ვახორციელებთ, რომ ისტორიული ძეგლები შევინარჩუნოთ“,** – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ პრეზენტაციაზე „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ განხორციელებულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დედაქალაქში სისუფთავე პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია.

**„ქალაქში სისუფთავე პრინციპულად მნიშვნელოვანია. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ჩვენი ქალაქი იყოს ყველაზე სუფთა, მოწესრიგებული. ცხადია, არსებობს გამოწვევები, თუმცა, ეტაპობრივად ვცდილობთ, ახალი ტექნიკა შევიძინოთ, ყველა მიმართულებით მოწოდების სიმაღლეზე ვიყოთ. ძალიან ხშირად მქონია შემთხვევა, რომ ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული უცხოელები, პირველ რიგში, ხაზს უსვამენ გამწვანებასა და სისუფთავეს. გამოწვევები არსებობს, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. გავაგრძელებთ მუშაობას, რომ ყველა ხარვეზი და პრობლემა გამოსწორდეს“.**

ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე,** მინისტრთა კაბინეტის წევრები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი...

## ჩვენ, საქართველოს პატიოსანი მოქალაქეები, ხელისუფლებისგან ბოდიშს ვიმსახურებთ!

**ვიდრე ორიოდ სიტყვას საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ვიტყოდე, თუნდაც ძალიან ზერელედ, მსოფლიოში შექმნილი ვითარება გავიხსენოთ.**

ორი უზარმაზარი სლავური ქვეყნის, რუსეთისა და უკრაინის დაპირისპირებას ბოლო არ უჩანს. სისხლისგან იცლება ორივე ქვეყანა: ნადგურდება მომავალი თაობა; იხოცებიან ქალები, ბავშვები და მოხუცები; გაპარტახებულია ეკონომიკა; ორივე ქვეყანაში მძვინვარებს უსასტიკესი დიქტატურა; ძალიან დიდია ომში სხვა ქვეყნების ჩათრევის ალბათობა...

ამავე დროს, ათმილიონიანი, 22 072 კვ. კმ-ის მქონე (დაახლოებით, გურია-იმერეთის ტოლა) ისრაელი დაუნდობლად ბომბავს მოსახლეობისა და ტერიტორიის მიხედვით მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს (მოსახლეობა 91 მილიონი, ტერიტორია 1 640 000 კვ. კმ) ქვეყანას, შიიტურ ირანს; განადგურებულია სამხედრო ბაზები, ბირთვული იარაღის დამამზადებელი სამეცნიერო ცენტრები; დახოცილია არმიის ხელმძღვანელობა და იარაღის შექმნა-წარმოებასთან დაკავშირებული მეცნიერთა სოლიდური ჯგუფი...






ისრაელის თავდასხმებს უპასუხოდ არ ტოვებს ირანიც. ორივე მხარეს საომარ მოქმედებებს ეწირება მშვიდობიანი მოსახლეობა...

მეომარ მხარეებს (რუსეთი, უკრაინა, ისრაელი, ირანი) აქტიურად თუ პასიურად მხარს უჭერენ, ფინანსურად, იარაღით თუ ცოცხალი ძალებით ეხმარებიან ევროკავშირის ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი, აშშ, ბელარუსი, ცენტრალური აზიის ქვეყნები, ჩინეთი, არაბული ქვეყნები, ჩრდილოეთ კორეა... ამის თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ის მიერ ირანის სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების დაბომბვა უახლესი ტექნოლოგიის იარაღით. ფრიად საყურადღებო იყო პრეზიდენტ ტრამპის მრისხანე განცხადება, უფრო ზუსტად, მუქარა ირანის მიმართ, რომ თუ იგი არ შეწყვეტს ბირთვულ იარაღზე მუშაობას, აშშ-ის ქმედებები კიდევ უფრო გასასტიკდება. შესაბამისად, ანტიამერიკული განცხადებები გააკეთეს ისლამური ქვეყნებისა და ჩინეთის ხელმძღვანელებმა. უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ირანთან დაპირისპირებულ აშშ-სა და ჩინეთს შორის, ვისთვისაც ირანი ნავთობის მთავარი მიმწოდებელია.

**ღმერთმა ინებოს, ვცდებოდე, მაგრამ აშკარაა, რომ კაცობრიობას მესამე (და, ალბათ, თავის ისტორიაში ბოლო) მსოფლიო ომის რეალური საფრთხე ემუქრება!**

რაც მთავარია, ამ დაუნდობელი სისხლისღვრების უკან დგას უცნობი ძლევამოსილი ძალა, ვისთვისაც მთავარია არა ადამიანების სიცოცხლე, ან ქვეყნების კეთილდღეობა, არამედ მთავარია მისი უდიდებულესობა ფული. სწორედ ეს გახლავთ უმთავრესი პრობლემა, რაც ართულებს კაცობრიობის დასასრულისთვის თავის არიდებას.

**ძალიან უცნაურია, დაუჯერებელია, რომ საქართველოს მოქალაქეთა ერთი ნაწილი ამ მომაკვდინებელ საფრთხეს ვერ ხედავდეს, ან დანახვა არ სურდეს. ვგულისხმობ იმ ადამიანებს, ქვეყანაში მშვიდობის შესანარჩუნებლად ხელისუფლების ძალისხმევას რომ ვერ ამჩნევენ, დაუნდობელი რუსეთის წინააღმდეგ რაღაც დამატებითი სანქციების დაწესებას, უკრაინის დასახმარებლად ქართული ჯარის გაგზავნას რომ მოითხოვენ. „რუსი მტერია“! – გაუთავებელი ძახილით საკუთარი პოლიტიკური რეიტინგის ამაღლებას და პატრიოტიზმის დასაბუთებას რომ ცდილობენ.**



ბოლო დროს, პატივცემული ოპოპატრიოტების საქციელმა, საერთოდ, კარიკატურული ელფერი მიიღო. აი, რა ბრძანა, მაგალითად, ბატონმა გუბაზ სანიკიძემ (ლევანიჩმა): „ვიწყებ მუშაობას „ფორმულაზე“. მიფრთხილდეს ხელისუფლება – ყოველ სამშაბათს ჩემი გამოსვლით მოვწამლავ რეჟიმს და მის მომხრეებს.“

**დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იზამს კიდეც – საქართველო ჯერ მამამისმა, „დიდმა მწერალმა“ ლევან სანიკიძემ მოწამლა თავისი „ნაშრომებით“, მერე კარგა ხანს თვითონ გუბაზ ლევანიჩი წამლავდა და ბოლოს ეს მისია მისმა ვაჟიშვილმა, ლევან გუბაზიჩმა იკისრა. სამივემ დიდი წარმატებით. ამასთან დაკავშირებით, მე და ჩემს კახელ მეზობლებს გვაქვს ერთი რაციონალური წინადადება: ჩამო რა, ჩვენთან, ბატონო გუბაზ. ამ ბოლო დროს ჩვენ ხილის ბაღებს, ვენახებს და ბაღ-ბოსტნებს მავნებლები შამაეჩვია და შეწამვლა ვეღარა შველის. დადექი ვენახის, ატმი ბაღის ან ყანის პირასა და აფრქვიე შენი საწამლავი რაც შეიძლება ხმამაღლა. ფულს გადაგიხდით და ჯამა-სმასაც არ მოგაკლებთ.**

არანაკლებ ყურადსაღებია ამ ბოლო დროს მეტისმეტად განორჩებული მსოფლიო ბანის, პაატა ბურჭულაძის მოსაზრება: „ჩვენ გვქონდა ორი რესპუბლიკა, ერთი 1918-21 წლებში, მეორე 1991 წელს. ახლა ყველა პარტია შევიკრიბოთ, შევთანხმდეთ და გამოვაცხადოთ მესამე რესპუბლიკა“.





**ბოდიში მომითხოვია და, ბატონო პაატა, სანამ ასეთ სიბრიყვეს იტყოდი, საქართველოს ისტორიისთვის ცალი თვალით მაინც რომ გადაგეხედა, გეცოდინებოდა, რომ ორივე ამ რესპუბლიკამ არსებობა ტრაგიკულად დაამთავრა. ერთი სამწლიანი არაფრის მაქნისი „მოღვაწეობის“ შემდეგ საფრანგეთში გადაიხვეწა; მეორემ ხელისუფლების სათავეში დაახლოებით ერთ წელიწადს გაძლო, მერე თავი მეგობარ ჩეჩნეთს შეაფარა და, ნებით თუ უნებლიეთ, ქვეყანა სამოქალაქო ომში გახვია.**

წესით, თქვენი ასაკის, მით უფრო, ქვეყნის მმართველობაზე პრეტენზიის მქონე კაცმა ასეთი რამ არ უნდა თქვას, უბრალოდ, სირცხვილია: „4 ოქტომბერს, ყალბი არჩევნების პარალელურად, თბილისში ვატარებთ ეროვნულ ყრილობას, რომ მშვიდობიანად, ხალხის ნებით გავისტუმროთ ბიძინა ივანიშვილი“. შე კაი დედ-მამის შვილო, ის მაინც გეთქვა, თქვენი 37-კაციანი პარტიის ყრილობა რატომ არის „ეროვნული“; ან რა განსხვავებაა, ამ „ეროვნულ ყრილობას“ თბილისში ჩაატარებთ, თუ წალენჯიხაში.

**დარწმუნებული ვარ, ჩემი შეგონება ბოლომდე „გამოკვლევებულ“ სალომე ზურაბიშვილამდე ვერ მიაღწევს (ვეჭვობ, ქართულ ენაზე წერა-კითხვა იცოდეს), მაგრამ იქნებ მისმა უანგარო მეგობრებმა ჩასჩურჩულონ, რომ ენების მიტან-მოტანა, სიცრუის გავრცელება და მერე ამით წაკეკლუცება თვით მარადიულად ლეგიტიმური პერსონისთვისაც კი სამარცხვინო საქციელია: „რუმინეთის პრეზიდენტს საგანგაშო სიმართლე გადავეცი, რომ საქართველოში არჩევნების მანიპულირება მოხდა და რეჟიმი ქვეყანას რუსეთისკენ მიაქანებს“.**

ისე, ძვირფასო მარადიულად ლეგიტიმურო ქალბატონო, ლათინური ტერმინი **Manipulatio** ქართულად ოინბაზობას, ყალთაბანდობას ნიშნავს. ამ ხერხს, მაგალითად, ძალიან ხშირად იყენებს თქვენი საჯაროდ დედის მაგინებელი უახლოესი მე-





ჟურნალისტთა თვალსაწიერი



გობარი ნიკა გვარამია – მანიპულირებს (ოინბაზობს, ყალთაბანდობს) თქვენი სახელით და ამ დროს ფეხებზე კიდიხართ თქვენც და თქვენი ევროპელი „მეგობრებიც“ თვით მუსიე მაკრონის ჩათვლით.

**გაუშვურ ენატანიობაზე გამახსენდა. ინტერნეტსივრცეში მილანელი „სახელგანთქმული და გავლენიანი პოლიტიკური მიმომხილველის,“ ვინმე ნონა მიხელიძის პოსტი შემომეფეთა. უფრო ზუსტად, მისი მიმართვა მილანის მერ ბეპე სალასადმი: „ძვირფასო ბეპე სალა, საქართველოში ასობით პოლიტიკური პატიმარია. ოპოზიციური პარტიის წევრები, კრიტიკული ტელევიზიების ჟურნალისტები და აქტივისტები ფეისბუქ პოსტების გამო მიიყვანეს სასამართლოში.**

საქართველო ახალ ბელარუსად იქცევა. თქვენ კი ამ დროს შეხვდით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს და მონაწილეობა მიიღეთ თითქოსდა საზეიმო ცერემონიაში“ (საუბარია საკონსულოს გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს დელეგაციისა და მილანის ხელმძღვანელობის შეხვედრაზე! თ. ქ.). სახელგანთქმულობისა და გავლენიანობისა რა გითხრათ, მაგრამ ამ მართლაც მშვენიერ გოგონას ნუთუ ვინმე წრფელი გულშემატკივარი არ ჰყავს, ხანდახან ენაზე კბილის დაჭერა რომ ურჩიოს?

**ბარემ სხვა „გამოჩენილებსაც“ მოვუსმინოთ:**

**ლაშა ბაქრაძე:** „როდესაც ადამიანებს ამყოფებენ ზეწოლის ქვეშ, ერთ დღეს აიღებენ ფიწლებს და მათი შეჩერება გაძნელდება.“

**გრიგოლ გეგელია:** „მე ვეძებ ბრძოლის გზებს ჩემ კოლეგებთან ერთად, ვეძებ რაციონალურ გეგმას, როგორ დავასუსტო რეჟიმი!“

**ტორესა მოსი (ვახტანგ მოსიაშვილი):** „(აშშ-ის) სამხედრო საზღვაო ძალებს შეუძლიათ ხმელთაშუა ზღვიდან ტომაჰავკის ერთი ზუსტი გასროლით დაასრულონ საქართველოში არსებული რუსეთის სასარგელო ვაკხანალია. სამიზნეც ერთი ეყოლებათ“.

**მამუკა ხაზარაძე:** „რუსული რეჟიმისგან ქვეყნის დეოკუპაცია თბილისიდან უნდა დაიწყოს. ამისათვის საჭიროა შეიქმნას დამოუკიდებელი პლატფორმა (შტაბი)!“

როგორც ხედავთ, ეს პატივცემული „პოლიტიკოსები“ ცოტა მორიდებით, მაგრამ მაინც საკუთარ მომხრეებს სახელმწიფო გადატრიალებისკენ, არსებული ხელისუფლების ძალადობრივად დამხობისკენ მოუწოდებენ. ნუ გაგიკვირდებათ – ბაქრაძის, გეგელიას, გვარამიას, ხაზარაძის, ჯაფარიძის, ბოკუჩავას, გუბაზიჩის, ელისაშვილის, ზურაბიშვილის და თვით სააკაშვილის ხელისუფლებაში აღზევება არჩევნების გზით აბსოლუტურად გამორიცხულია.

## ახლა ხელისუფლებას მივუბრუნდეთ!..

**20 ივნისს კორუფციაში მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძე. მოდი, ჯერ ამ პატივცემული ბატონის ბიოგრაფიას გადავხედოთ.**

დაიბადა 1982 წელს ქუთაისში. ოფიციალური მონაცემებით, 2003 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი; ერთი წლის შემდეგ – ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. 2003-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განყოფილების უფროსის მოადგილედ, განყოფილების უფროსად, სამმართველოს უფროსად; 2004 წელს – ენერგოზედამხედველობის და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; იმავე წელს – ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მრჩევლად; 2004-2005 წლებში – ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მთავარ მრჩევლად; 2005-2006 წლებში – „ვარციხე ჰესების“ კასკადის გენერალური დირექტორის მოადგილედ; 2006-2008 წლებში – „ზაჰესი 2006-ის“ ტექნიკურ დირექტორად; 2008-2009 წლებში – შპს „ჯეოინკორის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ; 2009-2017 წლებში – „საქრუსენერგოს“ სისტემაში განვლო გზა შესყიდვების სამსახურის უფროსობიდან გენერალურ დირექ-




ტორობამდე; 2017-2018 წლებში იყო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე; 2018 წელს – საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის (GEDF), დირექტორი; 2018-2019 წლებში – შპს „ენერგოტრანსის“, დირექტორი; 2019-2021 წლებში – შპს „თბილსერვის ჯგუფის“ – დირექტორი; 2021-2022 წლებში – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე; 2022 წლის დეკემბრიდან – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე.

2012 წელს მადლიერმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

იმედია, ყურადღება მიაქციეთ – თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული 21 წლის ბიჭი 2003 წლიდან მოყოლებული თავბრუდამხვევ კარიერას იკეთებს. ეს გრძელდება სააკაშვილის ხელისუფლების დამხობის შემდეგაც. საბოლოოდ, 2024 წლის ივნისში კარიერას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილის რანგში ამთავრებს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ, როცა ამ ბიჭს უზარმაზარ თანამდებობებზე ნიშნავდა, საქართველოს დღევანდელმა უმაღლესმა ხელისუფლებამ მისი წარსული არ იცოდა! ანუ თვით ყოვლისმცოდნე სუს-მაც კი არ იცოდა, რომ რომეო მიქაუტაძე იყო ჯალათი სააკაშვილის ერთ-ერთი რჩეული და მის მიერვე ღირსების ორდენით დაჯილდოებული ბიჭუნა.

**და, აი, ამ 21 წლის ბიჭის ყოვლად უცნაური 21-წლიანი მოკაშკაშე კარიერის შემდეგ ხელისუფლება გვამცნობს, რომ იგი დაპატიმრებულია უმძიმესი სახელმწიფო დანაშაულის გამო და 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ხელისუფლების სიმართლესა და გულწრფელობაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ მან კეთილი უნდა ინებოს და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის პატიოსნად მსახურ მოქალაქეებს უნდა აგვიხსნას, როგორ აცუცურაკებდა ეს „ნიჭიერი“ რომეო ჩვენს მიერ არჩეული „ოცნების“ ხელისუფლებას 12 წლის განმავლობაში?! რა კეთდება სხვა „რომეოების“ გამოსავლენად... და ბოდიშიც მოგვიხადოს.**

**ჩვენ, საქართველოს პატიოსანი მოქალაქეები, ვიმსახურებთ ამას!!!**



**თეიმურაზ ქორიძე,**
22. 06. 2025

# ერთი კაი ბიჭი გდანსკიდან...




**პირველი ივნისიდან პოლონეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, 42 წლის ისტორიკოსი კაროლ ნავროცკი. ის ქალაქ გდანსკში, მუშის ოჯახში დაიბადა. მშობლებმა ეს სახელი რომის პაპის იოანე პავლე მეორის პატივსაცემად დაარქვეს, რომლის სახელი და გვარი, პაპად არჩევამდე, კაროლ ვოიტილა იყო. კაროლის მამა გდანსკის ერთ-ერთი ქარხნის ზეინკალი იყო. დედა გამომცემლობაში მუშაობდა. და ქალაქ კრაკოვის ერთ-ერთი საკონდიტროს დირექტორია. კაროლის დედ-მამა, ხავერდოვანი რევოლუციის დროს, აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი ცნობილი პროფკავშირის, სოლიდარნოშჩის წევრები იყვნენ, რომელსაც სახელგანთქმული დისიდენტი ლეხ-ვალენსა ხელმძღვანელობდა. კაროლ ნავროცკი ბიზნეს-ადმინისტრაციის ბაკალავრია.**

ისტორიის მაგისტრის წოდება გდანსკის უნივერსიტეტში მიიღო. სკოლისა და სტუდენტობის წლებში სპორტით იყო გატაცებული. 1997-დან 2000 წლამდე გდანსკის საფეხბურთო კლუბების პროფესიონალი ფეხბურთელი იყო. შემდეგ კრივმა გაიტაცა და კარგი მოკრივეც დადგა. 2004 წელს, პოლონეთის ახალგაზრდა მოკრივეთა ჩემპიონატში, პირველი ადგილი დაიკავა. 2010 წელს, მშობლიურ ქალაქ გდანსკში, საბრძოლო ხელოვნების სპორტული სკოლა დააარსა.

2009 წელს, ნავროცკიმ პოლონეთის პარლამენტის მიერ დაარსებულ ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა, რომლის მთავარი მიზანი ნაცისტური და კომუნისტური რეჟიმების მიერ პოლონეთში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაა.



ინსტიტუტს კომუნისტური პოლონეთის KГБ-ს არქივი აბარია, რომელმაც პოლონეთის იმდროინდელ სამართალდამცველ ორგანოთა ლუსტრაცია მოახდინა. 2013 წელს კაროლ ნავროცკიმ სადოქტორო ხარისხი დაიცვა. დისერტაცია პოლონეთის კომუნისტური მმართველობის დროინდელ დისიდენტურ მოძრაობას ეხებოდა. ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტში მუშაობასთან ერთად, ის გდანსკის ერთ-ერთი რაიონის საკრებულოს თავჯდომარეც იყო. ასევე, მუშაობდა იმავე რაიონის განათლების განყოფილების უფროსად, ხელმძღვანელობდა გდანსკის მეორე მსოფლიო ომის მუზეუმს, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში ამ ტიპის მუზეუმებს შორის.





ბოლოს, ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტში დაბრუნდა, ამჯერად უკვე დირექტორად. 2024 წელს პოლონეთში საბჭოთა მონუმენტების დემონტაჟის ხელმძღვანელობის გამო, რუსეთმა ნავროცკი დაასანქცირა. მანამდე ნავროცკი პოლონეთში ნაკლებად იყო ცნობილი. იმ დროს პოლონეთის კონსერვატიული პარტია, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ახალ კანდიდატს ეძებდა. რადგან კონსერვატორებმა 2023 წლის საპარლამენტო არჩევნები წააგეს, პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კანდიდატი არაპარტიულ რიგებში შეერჩია, და ეს კანდიდატი ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის დირექტორი კაროლ ნავროცკი აღმოჩნდა.

კონსერვატორებს მასში ის მოსწონდათ, პოლიტიკური ისტებლიშმენტის წევრად რომ არ მოიაზრებოდა, და მისი მსოფლმხედველობა მთლიანად ემთხვეოდა კონსერვატიული პარტიის იდეოლოგიას, თუმცა, ნავროცკის ერთი სერიოზული ნაკლი ჰქონდა: არასოდეს არ ყოფილა პოლიტიკურ თანამდებობაზე და, შესაბამისად, გამოუცდელი იყო, მაგრამ, კამპანიის დაწყებისთანავე, მან დაამტკიცა, რომ კარგი ორატორია და მალე დიდი სიმპათიაც დაიმსახურა. ამავე დროს, საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, მის შესახებ არაერთმა სკანდალურმა ფაქტმა იჩინა თავი. კაროლ ნავროცკი წინათ კომუნისტურ პოლონეთში, ორგანიზებული დანაშაულის ისტორიის კვლევით იყო დაკავებული. ქვეყანაში ამ საქმის პიონერადაა მიჩნეული. კვლევასთან დაკავშირებით, ნავროცკის ბიოგრაფიიდან, ერთი საჩოთირო ეპიზოდი ამოტივტივდა: 2018 წელს გამოიცა წიგნი, სათაურით – ნიკოსის აღსარება საფლავიდან... ნაწარმოები ცნობილ მაფიოზს ნიკოდემ სკოტარჩაკს ეხებოდა. ავტორი ხალხისთვის უცნობი, ვინმე ტადეუშ ბატირი იყო. მან პოლონეთის ტელევიზიის ერთ-ერთ გადაცემაში, სახედაფარულმა მიიღო მონაწილეობა, რომელშიც ნავროცკის, ხსენებულ მაფიოზზე მასალის მიწოდებისთვის მადლობა გადაუხადა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ავტორი, სახელად, ტადეუშ ბატირი, თავად ნავროცკი ყოფილა. ამ გზით მას წიგნისთვის რეკლამის გაკეთება სურდა. სხვა სკანდალები ნავროცკის ახალგაზრდობის პერიოდს შეეხებოდა. როგორც მასმედიამ გაარკვია, ნავროცკი თავისი ქალაქის ფეხბურთის ქომაგების კლუბის „ულტრას“ წევრი იყო. ისინი სტადიონებზე ხულიგნობდნენ, მაყურებელზე ძალადობდნენ და არეულობებს იწვევდნენ.

მედიაში ისიც აღინიშნა, რომ მოკრივეობის პერიოდში, ქალაქის ცნობილი განგსტერების მცველიც ყოფილა.

ნავროცკი ზოგ ბრალდებას აღიარებს, ზოგს – არა. ამბობს, რომ გდანსკის კრიმინალურ უბანში გაიზარდა, სადაც, ხშირად, საქმეების გარჩევა უწევდა. ამავე დროს, კატეგორიულად უარყოფს რაიმე დანაშაულის ჩადენას. მთავარი კი ისაა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას მისი სჯერა. ხალხს მოსწონს, რომ ნავროცკის გაკრიალებული ბიოგრაფია არ აქვს, და რომ ის ერთი კაი ბიჭია გდანსკიდან.

გახსოვთ ალბათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, ხმების მაღალი პროცენტით, კონსერვატორი კაროლ ნავროცკი და ვარშავის ახლანდელი მერი, ლიბერალი რაფალ თშასკოვსკი გავიდნენ. მეორე ტური 31 მაისს ჩატარდა. პირველ ივნისს კი, გაირკვა, რომ, 2-პროცენტიანი განსხვავებით, საპრეზიდენტო არჩევნები კაროლ ნავროცკიმ მოიგო, რომელსაც, ჯერ კიდევ, არჩეული პრეზიდენტის სტატუსი აქვს. მისი ინაუგურაცია პირველ აგვისტოს ჩატარდება. ჩანს, ზოგიერთ შეხედულებათა გამო, ნავროცკისთან კარგი ურთიერთობის დამყარება ბევრს გაუჭირდება, პირველ რიგში, პოლონეთის პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკს. ნავროცკი ბრიუსელის კრიტიკოსია. ის, ძმების – კაჩინსკების მსგავსად, ითხოვს, რომ გერმანიამ პოლონეთს მეორე მსოფლიო ომის რეპარაციები გადაუხადოს. ნავროცკი, ასევე, ცნობილია მწვავე ანტირუსული შეხედულებებით. ამავე დროს, უკრაინასაც აკრიტიკებს. ის უკრაინის ნატოში და ევროკავშირში გაწევრების წინააღმდეგია. კაროლ ნავროცკის მეუღლე ცნობილი იურისტი მარტა ნავროცკაია გახლავთ. მეუღლის პრეზიდენტად არჩევამდე, ის პოლონეთის საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთ მიმართულებას ხელმძღვანელობდა. წყვილს ორი საერთო შვილი ჰყავს. ნავროცკები, ასევე, ზრდიან მარტას შვილს პირველი ქორწინებიდან...



**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
**POSTV**



ბის გავლენაში აღმოჩნდა, საქმეზე გამოძიება მთლიანად მათ მიანდო და არანაირად არ რეაგირებდა დაპატიმრებულთა მრავალრიცხოვან საჩივრებზე გამოძიების მიერ მათ მიმართ დანაშაულებრივი მეთოდების გამოყენების შესახებ (ამ საქმის გამოძიების 15 თვის მანძილზე დაპატიმრებულებმა 145 საჩივრის განცხადება შეიტანეს – **ა. ა.**).

საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ყოფილ მდივანს კ. ნ. ჩარკვიანს, შემდეგ მის შემცვლელს ამ პოსტზე ა. ი. მგელაძეს არა მარტო ელემენტარული კრიტიკული დამოკიდებულება არ გამოუვლენიათ რუხაძის მიერ შეთითხნილი ცრუ მონაცემების ფალსიფიკაციისათვის, აგრეთვე, გამოძიების მეთოდების დამახინჯებისა და საბჭოთა კანონების უხეში დარღვევებისათვის უკვე დაპატიმრებული რუხაძისა და რიუმინის გარდა, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააპატიმრა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ყოფილი სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე ცეპკოვი, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე თავდიშვილი, ამავე სამინისტროს უფროსი გამომძიებელი ქესანაშვილი და სხვ.

ავანტიურისტები რუხაძე, რიუმინი და მათი დამქაშები არ გაჩერებულან იმის წინაშე, რომ ჩრდილი მიეყენებინათ ქართველი ხალხისათვის, რომელიც საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიდ რუს ხალხთან და ჩვენს ქვეყანაში მთელი სოციალისტური მშენებლობის განმავლობაში დაამტკიცა თავისი ურყევი ერთგულება საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობისადმი...

* * *

**სკკპ ცკ-ის დადგენილება „ყოფილი სსრკ და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების მიერ საბჭოთა კანონების დარღვევების შესახებ" ამხ. ლ. პ. ბერიას ბარათთან ერთად, სსრკ შს სამინისტროს საგამო-**

**ამის შემდეგ ბერიას კაბინეტში წამიყვანეს, სადაც ლავრენტი პავლეს ძე და ქობულოვი იმყოფებოდნენ.**

ბერიამ გამომკითხა, თუ როგორ დამაპატიმრეს, როგორ მიდიოდა ძიება. შემდეგ დამაიმედა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, გამანთავისუფლებდნენ. ისიც დაუმატა, რომ ჩემს დაპატიმრებაზე სანქცია სტალინმა გასცა. „შენ სტალინთან წახვედი, მან კი როგორ გადაგიხადა!"- ჩაიცინა და ამით მაგრძნობინა, რომ ბოლო დროს მას ჩამოვცილდი და შედეგი დამსახურებულად მოვიმკე. მაშინ ბელადის სიკვდილის შესახებ არაფერი ვიცოდი და ბერიას ამგვარმა საუბარმა გამაოცა".

ციხიდან განთავისუფლებული რაფავა პირდაპირ ქობულოვის კაბინეტში დანიშნეს საქართველოს

## ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

### ხუხულის დანგრევა

***რუხაძემ, რომელიც დიდხანს ინახავდა დანაშაულებრივ კარიერისტულ მიზნებს, ისარგებლა იმით, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს პარტიული და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში ნაკლოვანებები იყო. რუხაძე არ შემოიფარგლა პროვოკაციული ცდებით, ერთმანეთისთვის დაეჯახებინა ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები და ი. სტალინს განზრახ მცდარი ინფორმაცია წარუდგინა საქართველოში მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის არსებობის შესახებ.***

*რუხაძემ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ადამიანები კპ(ბ) ცკ-ის წინაშე გამცემებად და მოღალატეებად წარმოაჩინა და სსრკ სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მინისტრის მოადგილესთან რიუმინთან შეთქმულებით მიაღწია ი. ბ. სტალინის სანქციას მათს დაპატიმრებაზე და მოქმედების თავისუფლება გაინაღდა მათგან იმ დანაშაულებათა აღიარების გამოსაძალავად, რომლებიც მათ საერთოდ არ ჩაუდენიათ. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან საქართველოში გაიგზავნა სპეციალურად ინტრუქტირებულ გამომძიებელთა 10-კაციანი ბრიგადა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის ცეპკოვის ხელმძღვანელობით. დაპატიმრებულებს სცემდნენ, ადებდნენ ხელბორკილებს, დიდი ხნით არ აძლევდნენ ძილის საშუალებას, იყენებდნენ საბჭოთა კანონებით მკაცრად აკრძალული ძალდატანების სხვა მეთოდებს, მათგან მოითხოვდნენ ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი მუშაობის „აღიარებას". ამასთან, გამომძიებლები პროვოკაციულად უცხადებდნენ დაპატიმრებულებს, რომ გამოძიების ამგვარი ხერხები და მეთოდები გამოიყენებოდა კპ(ბ) ცკ-ის პირდაპირი დავალებით.*

*ასეთი გზებით ცდილობდნენ რიუმინი, რუხაძე და მათი თანამზრახველები მათ მიერვე წამოწყებული ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის შესახებ პროვოკაციული საქმის დადასტურების მიღწევას. მინისტრი ამხ. იგნატიევი ამ ნაძირალების მიმართ, არამედ თვითონაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობდნენ მას ამ საქმეში.*

*ა. მგელაძემ იმის ნაცვლად, რომ გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში და აღეკვეთა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თვითნებობა, თვითონ აქტიურობდა ამ პროვოკაციული საქმის გაბერვასა და ყოვლად უდანაშაულო ადამიანების შემდგომ უკანონო დაპატიმრებაში.*

*II*

*საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის წინადადების საფუძველზე 1951 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა სკპ(ბ) ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა, ეს დადგენილებები მიღებულია საქართველოს კპ(ბ) ცკ-ისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ სკპ(ბ) ცკ-ის მცდარად ინფორმირების საფუძველზე. ამას გარდა, თვით ამ დადგენილებების შესრულებისას სსრკ და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებმა დაუშვეს აშკარა თვითნებობა და საბჭოთა კანონების უხეში დარღვევები. ამ თვითნებობისა და უკანონობის მსხვერპლი გახდა ათასობით სრულიად უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქე.*

*სადამსჯელო ორგანოების მსგავსი თვითნებობა და მათ მიერ საბჭოთა კანონების დანაშაულებრივი დარღვევები სერიოზულ ზიანს აყენებს პარტიის საქმეს, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს.*

*ცკ ადგენს:*

*1. სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის და 1952 წლის 27 მარტის დადგენილებების შესაცვლელად ვაღიაროთ, რომ საქმე ე. წ. „მეგრული ნაციონალისტური ორგანიზაციისა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ყოფილი მეორე მდივნის მ. ბარამიას ხელმძღვანელობით" გამოგონილი და დანაშაულებრივი კარიერისტული მიზნებით შეთითხნილია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ზოგიერთი ყოფილი მუშაკის ხელშეწყობით.*

*2. ე. წ. „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის" საქმეზე დაპატიმრებული მ. ი. ბარამია, ა. ნ. რაფავა, პ. ა. შარია, ი. ს. ზოდელავა, ა. ი. მირცხულავა, ვ. ი. შონია, გ. ტ. კარანაძე და სხვები, 37-ვე კაცი, განთავისუფლდეს პატიმრობიდან სრული რეაბილიტაციით, ხოლო საქმე მათ მიმართ წარმოებით შეწყდეს.*

*3. ცნობად იქნეს მიღებული ამხ. ბერიას განცხადება, რომ ე. წ. „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის" საქმის საგამოძიებო მასალების*

**გაგრძელება,**
**დასაწყისი იხილეთ**
**„სრ" №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72, 74-86, 88-89**



ა. რაფავა

*4. გაუქმდეს სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 16 ნოემბრის დადგენილება და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ" როგორც არასწორი, საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ კპ(ბ) ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს შეცდომაში შეყვანის შედეგად მიღებული.*

*5. დაევალოს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს, გადახედოს ყველა დაპატიმრებული მოქალაქის საქმეს, რომელნიც გასახლებული იყვნენ საქართველოს სსრ ტერიტორიიდან სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებული სათათბიროს მიერ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე და ყველა უკანონოდ გასახლებული მოქალაქე დაბრუნდეს ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე.*

*6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეცგადასახლებებიდან განთავისუფლებულ მოქალაქეებს დაუბრუნონ ის ქონება, რომლის კონფისკაციაც მოხდა მათი გასახლებისას.*

* * *

**სკკპ ცკ აღნიშნავს, რომ ცალკეული დამნაშავეების და ვიგინდარების ბოროტგანზრახული პროვოკაციის შედეგად ცილისწამების მსხვერპლი აღმოჩნდა საქართველოს კომუნისტური პარტია – ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი ორგანიზაციათაგანი, რომელიც ბოლშევიკთა პარტიისათვის ყოველთვის ერთგული საყრდენი იყო და თანამიმდევრულად ატარებდა ლენინურ ხაზს, როგორც სოციალისტურ რევოლუციამდე, ისე საბჭოთა მმართველობის წლებში.**



ნ. რუხაძე

**ძიების კომისიის დადგენილების დართვით, დაეგზავნოს სკკპ ცკ-ის წევრებს, სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატებს და მოკავშირე რესპუბლიკების ცკ-ების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებს.**

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებს, სკკპ ცკ-ის დადგენილება და მასალები ამ საკითხზე გააცნონ მოკავშირე რესპუბლიკების ცკ-ების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების ბიუროს წევრებს.

**სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმი".**

იმავე დღეს, 1953 წლის 10 აპრილს, სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო „მკაცრად საიდუმლოო" კიდევ ერთი დადგენილება „სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ", რომლითაც მოიწონა ლ. ბერიას ძალისხმევა იმ დანაშაულებრივ ქმედებათა გამოსავლენად, წლების განმავლობაში რომ ხდებოდა სსრკ ყოფილ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში და ვლინდებოდა პატიოსან ადამიანებზე ფალსიფიცირებული საქმეების შეთითხვნაში, მოიწონა, აგრეთვე, საბჭოთა კანონიერების დარღვევის შედეგების გამოსასწორებლად განხორციელებული ღონისძიებები, იმის გათვალისწინებით, რომ „ეს ღონისძიებები მიმართულია საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური კანონიერების გასაძლიერებლად".

* * *

**განთავისუფლებები უმალ დაიწყო. აი, როგორ აღწერდა ამას ავქსენტი რაფავა: "გამომიძახეს გენერალ-ლეიტენანტ ვლოძიმირსკის კაბინეტში და ყველაფრის დაწვრილებით დაწერა მიბრძანეს.**

სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად.

ქობულოვის კაბინეტიდანვე გაათავისუფლეს გრიგოლ კარანაძეც, რომელიც, რაფავასგან განსხვავებით, მხოლოდ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნეს.

აქ მცირე გადახვევას გავაკეთებ, რომელიც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მკითხველისთვის.

ავქსენტი რაფავა ლავრენტი ბერიას ახლობელი და მისანდო კაცი იყო, ეს უკვე ვთქვით. ამბობენ, როცა ჭაბუკმა ლავრენტიმ და ნინა გეგეჭკორმა 1922 წელს საიდუმლოდ დაიწერეს ჯვარი მარტვილის ეკლესიაში (კომუნისტისა და ჩეკისტის ჯვრისწერა არ ეგებოდა!), ავქსენტი მეჯვარე იყო, სწორედ მათი პატივისცემით დაარქვაო თავის უფროს ქალიშვილს უცნაური სახელი ნილა (ნი-ნო და ლა-ვრენტი).

1955 წლის სექტემბერში თბილისში, რკინიგზელთა სახლში მიმდინარე ნიკოლოზ რუხაძის, ავქსენტი რაფავას, შალვა წერეთლისა და სხვათა სასამართლოზე, ნ. რუხაძემ, რომელიც სტალინის სიკვდილის შემდეგ ლ. ბერიას გულისამაჩუყებელ წერილებს წერდა ლეფორტოვის ციხიდან, მამასა და მარჩენალს უწოდებდა და „მეგრელთა საქმეში" მთელ თავის ცოდვას გარდაცვლილ ბელადსა და აკაკი მგელაძეს აწმენდდა, თავდაცვის ძირითად მიმართულებად დამხობილი ლავრენტისა და მისი ხალხის მხილება და დადანაშაულება აირჩია. ფორმალურად ეს სწორი იყო: იქ, საბრალდებო სკამზე გვერდიგვერდ იხდნენ ის-ბერიას ცნობილი მტერი და ბერიას ახლობლები – ავქსენტი რაფავა, შალვა წერეთელი...რისთვის მასამართლებთო, "გაკვირვებული" კითხულობდა, მე ხომ ამ ხალხის მტრებს ვებრძოდიო.

მაგრამ ეს გაკვირვებული პოზა დიდხანს არ შერჩენია. სახელმწიფო ბრალმდებელმა, სსრკ გენერალურმა პროკურორმა რომან რუდენკომ ლ. ბერიასადმი ციხიდან მიწერილი მისი „უქვეშევრდომულესი" წერილებიც გამოამზეურა და ერთი საზარელი ფაქტიც წარმოაჩინა: ნ. რუხაძეს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საგანგებო განყოფილების უფროსად ყოფნისას, შეკვეთით მოუწყვია ავტოავარია, რომელსაც ემსხვერპლა სახელმწიფო უშიშროების მაშინდელი მინისტრის ავქსენტი რაფავას შვილი (ოღონდ, არ გაცხადებულა, ვისი დავალებით და რა მიზნით იყო მოწყობილი ეს ტერორისტული აქტი).

ამბობენ, ამის შემდეგ ნ. რუხაძეს ჩაღუნული თავი აღარ აუწევია, ა. რაფავას კი ვეღარ აკავებდნენო.

**(გაგრძელება იქნება)**

# მეგზური ქართველთა იდენტობის სივრცეში

თემო ნაცვლიშვილი-100

## 1. მოგზაურობა მეოთხე: ზაქარია ფალიაშვილი

**ერთ-ერთ წინა წერილში თემო ნაცვლიშვილისეულ ილიაზე გესაუბრებოდით. ახლა კი მის მიერ დანახული ზაქარია ფალიაშვილის შესახებ გამოვთქვამ შთაბეჭდილებას, ანუ: ამჯერად XX საუკუნის დიდ მუსიკოს-შემოქმედთან მოგვიწევს შეხვედრა ჩვენი პროტაგონისტი მოქანდაკის მიდევნებითა და მისივე არჩევანის შედეგად.**



ზაქარია ფალიაშვილი ქართული პროფესიული სამუსიკო კულტურისათვის განსაკუთრებული მოვლენაა. იგი ყველაზე სრულფასოვნად აფუძნებს ერის დიდ მოთხოვნასა თუ „ჩანაფიქრს“ – ახალი ქართული საოპერო ხელოვნების დამკვიდრებას. ამ დიდ გზაზე ის ხომ დღესაც წამყვანი, შეუცვლელი ფიგურაა! მისი სამუსიკო დანატოვარი ორ საუკუნეს გადასწვდა და აღნიშნული თვალსაზრისით, მიუხედავად უნიჭიერეს კომპოზიტორთა სიუხვისა, კონკურენტი არც კი ჰყოლია. სავარაუდოდ, არც ახლო მომავალშია მოსალოდნელი, ამ მხრივ, რაიმე სიურპრიზი.

სრულებით ცხადია, რომ ქართველთა სამუსიკო ტრადიცია უძლიერესია მთელი მსოფლიოს მასშტაბით: თავისი ძალაამოუწურავი გაქანების მქონე ნადურები; ლაღად მხარგაშლილი და შ. ასლანიშვილის მიდევნებით, ჰიმნურად ზეაღმტაცი მრავალჟამიერები; გამაოგნებელი სირთულის მქონე, პოლიფონიურობის მწვერვალზე მყოფი მელოსის შეუდარებელი ნიმუშები იმდენად მაღალი რანგისაა, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის დიდ საგანძურში ეს განსაკუთრებული სულიერი მონაპოვარი ალბათ საუკუნეებს გადასწვდება, რომ აღარაფერი ითქვას ჩვენებურ საზეო საგალობლებზე. აღნიშნული ზემძლავრი ტრადიცია ვერასგზით დაიყვანება თუგინდ განსაკუთრებული ხარისხის მქონე ფოლკლორზე, ვინაიდან ეს არის ზოგადეროვნული, ყოვლის მაერთებელი ხელოვნება, რომელიც ამასთანავე – თაობათა მაინტეგრირებელია.







ზაქარია ფალიაშვილი ამ გრანდიოზული გაქანების მქონე სამუსიკო ხელოვნების ღირსეული მემკვიდრეა, ოღონდ მთავარი აქ ის არის, რომ მან შეძლო ჩვენთვის ერთობ მოთხოვნადი, საოპერო ხელოვნების არა მხოლოდ თავისთავად დიდად საგულისხმო (მ. ბალანჩივაძისა და დ. არაყიშვილის მსგავსად), არამედ სწორედაც ევროპულ მაღალ ნიმუშთა სადარი, ძალზე შთამბეჭდავი ნაწარმოებების შექმნა. საარზრიუკენში აჟღერებული „აბესალომ და ეთერი“ კი მრავლისმომსმენმა და მრავლისმცოდნე, უდიდესი გერმანული სამუსიკო კულტურის მემკვიდრე აუდიტორიამ დიდი მოწონებით მიიღო და კიდევაც აღიარა, რაც ცხადია, მრავლისმეტყველია და უთუოდ – სასიხარულოც. ქართველობამ კი ძალიან დიდი ხანია, რაც შეისისხლხორცა ჩვენი გამოჩენილი კომპოზიტორის ჩვენს ხალხში ფართოდ აღიარებული მემკვიდრეობა.

ამდენადაც, თემო ნაცვლიშვილის არჩევანი კვლავაც მიზანმიმართული და როგორც ირკვევა, სასიკეთოდ დაგვირგვინებული აღმოჩნდა.

მან, ისევ და ისევ, არაერთი ქმნილება მიუძღვნა გამოჩენილ მუსიკოსს და თვალსაჩინო მრავალმხრივობით წარმოგვიჩინა მისი მხატვრული სახე. მასთან, კვლავ და კვლავ, თავს იჩენს არაერთგზისი მობრუნება უკვე რეალიზებულთან და განსხვავებული, ახლებური, ზოგან აღმოჩენითი დამოკიდებულების „მუდმივქმნადობა“, რაც ამ ავტორის ძირეული მიდგომა აღმოჩნდა ცოტაში ბევრი თქმის თვალსაზრისით.

ყველაზე ადრინდელია ჯერ კიდევ 1953 წელს შექმნილი პორტრეტი: სავარძელზე ჩამომჯდარი ზაქარია, თითქოსდა მშვიდი პოზით არის წარმოდგენილი. ის რელაქსირებულადაც კი მოჩანს ერთი შეხედვით, მაგრამ დაკვირვებისას, გვეხსნება მოქანდაკის ნაწარმოების შიდა შრეები. ის, თითქოსდა დასვენების ჟამსაც, მაინც მობილიზებულია, სულიერ სახილველში აღმოცენებული ჰანგების გამომხმობიცაა თითქოს, რის გამოც გეგონება, „სხვა სივრცეშიც“ კია გადართული. მოძრავად და მრავალრიტმულად აღნაგი დრაპირება ერთგვარად „მუსიკალურ“ ასოციაციებსაც კი აღგვიძრავს და არც აღიქმება ოდენ აუცილებელ ფორმალურ ატრიბუტად, არამედ მხატვრული სახის ეფექტურად გამამდიდრებლად.

სხვა სახისაა 1958 წელს შექმნილი ზაქარია ფალიაშვილის ფეხზე მდგომი სკულპტურა. ეს მცდელობა ოსტატისა ბევრად გასადავებულია, მაგრამ ძალაში რჩება უმთავრესი – შემოქმედებითი მობილიზებულობის გამოხატვის სიღრმე გარეგნული თავდაჭერილობის დროს. პლასტიკური „მასები“ ლაკონური და ამომწურავია. აქ ზომიერად ძაბვით სტატისტიკაში შინაგანცდის მრავალპლასტიანობა სულიერი „მოძრაობის“ უხილავ „ტალღებადაა“ გარდასახული.

1960 წლის ზაქარია ფალიაშვილისეული მხატვრული სახე სრულებით ახლებურ ხედვას გვთავაზობს. აქ დიდი მუსიკოსი უკვე ზეშთაგონების ექსტატურ მდგომარეობაშია წარმოჩენილი და ძლიერ ექსპრესიულიც არის. პოზის ძაბვითობა, დრაპირების განწელვა და მისი მკვეთრი დინამიკა, ხელის მოძრაობის ძალუმი გამომხატველობა, ერთგვარი არაორდინარულობა მთელი ჩანაფიქრისა, ასევე – საპირისპირო „რიტმ-დინებათა“ ზღვარეული შეწონასწორება – ეს ყოველივე ძლიერი სუგესტიის მატარებელია. ასეთი ხედვა ჩინებულად ხსნის შემოქმედის სულიერ მდგომარეობას, მის ღრმად რომანტიკულ განაცადს – გარკვეული აზრით, ზაქარია ფალიაშვილი ხომ სწორედაც ნეორომანტიკოსია და რამდენადმე – „ვაგნერიანელიც“ კი. შემთხვევით ხომ არ არის მის ქმნილებათა „შიდასივრცეების“ ძველი საქართველოს ლეგენდარულ სამყაროსთან მოახლება; „აბესალომ და ეთერის“ გულშიჩამწვდომი ელეგიურობა; ანდა გავიხსენოთ, თუ გნებავთ, „დაისში“ მაროს არიის უღრმესი ტკივილიანობაც – ის ხომ მარო მაყაშვილისადმია მიძღვნილი და სწორედ საკვირველი ღრმაგანცდიანობა ამ ქმნილებისა ნათელყოფს, თუ რა ძალით შეიგრძნობდა ზაქარია 1918-1921 წწ. დამოუკიდებელი საქართველოს საშინელ ტრაგედიას და თუ როგორი გულმხურვალე პატრიოტი იყო. საზოგადოდ, „დაისი“ ხომ მონუმენტური მეტაფორაა და საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო ერთგვარ „დატირებად“ აღიქმება.

კონცეფციის თვალსაზრისით, 1972 წლის ვარიანტი თემო ნაცვლიშვილთან, შესაძლოა, უფრო დამაჯერებლად არის გამთლიანებული და მხატვრულად ტევადი ფორმის მხრივაც – ეგების მეტად განსრულებულიც კი ჩანს. აქ „ფაქტურამეტყველი“ პირობითობის ხარისხიც აშკარად მატულობს, თუმცაღა, ჩემი სუბიექტური შთაბეჭდილებით, პირველი, სწორედაც „აღმოჩენითი“ ვერსია – არაფრით ჩამოუვარდება მომდევნოს, რომელშიც, თუმცა კი „შეიკრა“ და „შემოკრებილ“ იქნა შემოქმედის არსობრივი დამოკიდებულება ზაქარია ფალიაშვილის ქართველობის მხრივ აღიარებულ, გათავისებულ და გაშინაგანებულ მემკვიდრეობასთან...

**სამსონ ლეჟავა,**
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №87, 88-89

## გვიან თუ არასდროს?..

**ბრიტანული** სამაუწყებლო კომპანია **„ბიბისის“ (BBC)** ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„უპასუხოს ახლავე, გვიან თუ არასოდეს: როგორი შეიძლება იყოს ირანის შემდეგი ნაბიჯი“** (ავტორი – **ფრენკ გარდნერი**).

**„პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და ამერიკელი სამხედრო მაღალჩინოსნები თვლიან, რომ აშშ-ის ბომბდამშენი ავიაციის შეტევა ირანის ბირთვულ ობიექტებზე წარმატებული იყო, მაგრამ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დაზიანებები კრიტიკული არ არის და მათი აღდგენა მოკლე ხანში მოხდება. სამაგიეროდ, თეირანმა ვაშინგტონს „წარუშლელი პასუხის“ გაცემა აღუთქვა, რომელსაც ამერიკა ვერასოდეს ვერ დაივიწყებს“**, – ნათქვამია პუბლიკაციაში. **გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვარიანტს:**




# როგორი იქნება ირანის შემდეგი ნაბიჯი?!

**ირანის დაზვერვა, სამხედროები და, საერთოდ, ხელისუფლებაში მიმდინარეობს დისკუსია, თუ როგორი უნდა იყოს საპასუხო დარტყმა აშშ-ის მიმართ და როგორი შედეგები უნდა ჰქონდეს შეტევას. ირანის მხარეს მოუწევს აირჩიოს: მზად არის თუ არა ის აშშ-ის მხრიდან ახალი დაბომბვისათვის, აქვს თუ არა აზრი აშშ-სთან და დასავლეთთან ურთიერთობის გამწვავებას საერთოდ, რამდენად შესაძლებელია აშშ-სთან მოლაპარაკებისადმი დაბრუნება და რას ნიშნავს პრაქტიკაში ურანის გამდიდრებაზე უარის თქმა.**

მთლიანობაში ირანისთვის ამჟამად სამი სამოქმედო სტრატეგიული კურსის გატარებაა შესაძლებელი. თითოეული მათგანი გარკვეულ რისკებს შეიცავს, თუმცა იმ ადამიანების გონებაში, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ, ახლა მთავარია ისლამური რეჟიმის გადარჩენა.

### პირველი – მკვეთრი და სწრაფი შურისძიება

**ასეთ ვარიანტს მხარს დაუჭერენ ისინი, ვინც ყველაზე მეტად განიცდის ქვეყნის დამცირებას ჯერ ისრაელის, შემდეგ კი აშშ-ის შეტევებით.**

ირანელ სამხედროებს, ალბათ, „მაგიდაზე უდევთ“ აშშ-ის სამხედრო ბაზების სია ახლო აღმოსავლეთში, რომელიც დაახლოებით 20 ობიექტს ითვლის. არსებობს ვარაუდი, რომ ირანს მათ დასაბომბად ჯერ კიდევ აქვს შენახული სხვადასხვა სიშორის მქონე ბალისტიკური რაკეტების რეზერვი (დაახლოებით 3 ათასამდე), დანარჩენი ისრაელზე დახარჯა.

ძირითადი ამერიკული ბაზა – აშშ-ის მე-5 ფლოტის შტაბბინა – მდებარეობს ქალაქ მინა-სალმანის ახლოს, ბაჰრეინში. იქვეა განლაგებული ქვეყნის მთავარი სავაჭრო ნავსადგურიც. თუმცა ირანმა შეიძლება არ მოისურვოს სპარსეთის ყურეში მდებარე მოსაზღვრე ქვეყანაზე შეტევა, ამ შემთხვევაში დარტყმის ობიექტი აღმოჩნდებიან ამერიკული ბაზები სირიაში (ალ-ტანფში და აინ-ალ-ასადში) და ერაყში (ერბილში).

ერაყში არსებულ ამერიკულ ბაზაზე შეტევა ირანმა ჯერ კიდევ 2020 წელს განახორციელა, როცა ვაშინგტონმა ბაღდადში ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვედანაყოფის „ალ-ყუდსის“ მეთაურის ყასემ სულეიმანის ლიკვიდაცია მოახდინა, მაგრამ იმ დროს ირანმა აშშ წინასწარ გააფრთხილა, რომ ბაზებს დაარტყამდა – „ზედმეტი მსხვერპლისა და ესკალაციის თავიდან ასაცილებლად“. ამჯერად, როგორც ჩანს, შეტევა გაუფრთხილებლად მოხდება. მკაცრი პასუხის მეორე ვარიანტი – შეტევა რეგიონში არსებულ ამერიკულ სამხედრო ხომალდებზე, დრონებისა და სწრაფმავალი კატერების მეშვეობით. ასეთი დარტყმების სასწავლო-საწვრთნელი სერიები ირანმა უკვე განახორციელა და კარგად აქვს ათვისებული. გარდა ამისა, ირანს შეუძლია დახმარება სთხოვოს თავის ერთგულ მოკავშირეებს – იემენელ ჰუსიტებს, რათა მათაც შეუტიონ ამერიკულ ხომალდებს.

დაბოლოს, პასუხის მესამე ვარიანტი – შეტევა შეიძლება იყოს არა სამხედრო, არამედ ეკონომიკური, რომელიც ჰორმუზის სრუტის გადაკეტვასა და მის დანაღმვას გულისხმობს. ჰორმუზის სრუტის გავლით ხდება მსოფლიო ნავთობის ტრანსპორტირების 20% და თუ მართლაც ტრანზიტი დაიბლოკება, ირანის ეს ნაბიჯი სხვა სახელმწიფოების ინტერესებზეც მოახდენს გავლენას. სწრაფად გაიზრდება ნავთობის ფასი, რომლითაც ზოგიერთი სახელმწიფო (ვთქვათ, რუსეთი) ისარგებლებს. ირანს ასევე შეუძლია შეუერთდეს ჩინეთს, რუსეთს და ჩრდილოეთ კორეას სერიოზული კიბერთავდასხმის ორგანიზების საქმეში. თეირანს ამის საკმაო გამოცდილება აქვს – მას შეუძლია მავნე პროგრამის ჩანერგვა აშშ-ის კომპანიების ქსელში. ასეთი ვარიანტიც, უეჭველია, ირანის სამხედრო წრეებში განიხილება.

### მეორე – ასიმეტრიული შურისძიება მოგვიანებით

**ირანს შეუძლია ამერიკას სწრაფად არ შეუტიოს და პაუზა აიღოს, უფრო მომგებიანი სიტუაციის დადგომამდე – ვთქვათ, მანამ, სანამ ამერიკულ ბაზებზე საბრძოლო მზადყოფნის დონე არ შემცირდება – მაქსიმალურიდან მინიმალურამდე. ასეთ ვარიანტში ნავარაუდევია ფართო სამოქმედო სივრცე – ირანს შეუძლია მოემზადოს და შემდეგ აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს (საელჩოებს) ან სავაჭრო მისიებს შეუტიოს, ან ფიზიკურად გაანადგურონ ისინი, ვინც იქ მუშაობენ.**

ამ ვარიანტის ნაკლი ისაა, რომ აშშ, ალბათ, სწრაფად უპასუხებს ირანს და ეს მოხდება, სავარაუდოდ იმ დროს, როცა ირანელები ჩვეულებრივი ცხოვრებისადმი დაბრუნებას დაიწყებენ.

### მესამე – არავითარი შურისძიება, დარჩეს უპასუხოდ

**ცხადია, ასეთი ვარიანტი ირანისგან უდიდეს თავშეკავებას გულისხმობს, თუმცა თეირანი ამით თავიდან აიცილებდა აშშ-ის შემდგომ შეტევებს და ქვეყანა მოლაპარაკებას დაუბრუნდებოდა, „მშვიდობიანი ატომური პროგრამის“ ფარგლებში.**

ამ ვარიანტის ნაკლი იმით გამოიხატება, რომ ირანს კიდევ ბევრ დათმობა-კომპრომისზე წასვლა მოუწევს: ამერიკაც და ისრაელიც მასზე ზეწოლას მოახდენს და მოსთხოვენ, რომ ირანს საერთოდ არ ჰქონდეს ურანი, ან ჰქონდეს, მაგრამ თვითონ კი არ გაამდიდროს, არამედ სხვა ქვეყანამ.

**ეს იქნებოდა იმის გარანტია, რომ თეირანი ატომურ ენერგიას სამხედრო მიზნებით არ გამოიყენებს.**




ბრიტანულმა გაზეთმა **„ინდეფენდენთმა“ (The Independent)** გამოაქვეყნა სტატია სათაურით **„დონალდ ტრამპმა, ირანთან პოტენციური ომის გამო, თავისი პრეზიდენტობა სასწორზე დადო“** (ავტორი – **ერიკ გარსია**).

**„თუ პრეზიდენტი თავის წინამორბედთა მოქმედებას გადახედავს, მიხვდება, რა მოხდება ახლა, როცა მან ახლო აღმოსავლეთში ირანისადმი სამხედრო დარტყმის მიყენების ბრძანება გასცა“**, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

**გთავაზობთ სტატიას შემოკლებით:**

# ტრამპმა თავისი პრეზიდენტობა სასწორზე დადო?!

**მას შემდეგ, რაც ლინდონ ბეინს ჯონსონმა პრეზიდენტის პოსტი დატოვა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1973 წლის დასაწყისში, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს მან დაიჩივლა, რომ ვიეტნამის ომმა მთელი მისი პრეზიდენტობის პერიოდი „ჩაყლაპა“. ლინდონ ჯონსონი** აშშ-ის 36-ე პრეზიდენტი იყო 1963-1969 წლებში, ხოლო ვიეტნამის ომი ფაქტიურად დაიწყო 1964 წელს ტონკინის ყურეში მომხდარი ინციდენტებით, რომელშიც აშშ-ის გემები მონაწილეობდნენ.

**„ომის მსხვერპლი გახდა ის, რომელიც მე ძალიან მიყვარდა – „დიდი საზოგადოება“. მე დავიწყე მისი შექმნა, მაგრამ ომის გამო იძულებული გავხდი, გავჩერებულიყავი“**, – თქვა მან. „დიდ საზოგადოებაში“ იგულისხმებოდა ამერიკაში სიღარიბის დაძლევა, სახელმწიფო დაზღვევის შემოღება გაჭირვებული ოჯახების ჯანდაცვის დასაცავად, რეფორმების გატარება განათლების სფეროში, რასობრივი უსამართლობის დაძლევა და ა.შ.

დემოკრატმა ლინდონ ჯონსონმა ბევრი რამის გაკეთება მოასწრო არჩევიდან ერთი წლის განმავლობაში, სანამ იგი ჩრდილოეთ ვიეტნამის მასიური დაბომბვის ბრძანებას გასცემდა 1965 წლის 2 მარტს და ამით კონფლიქტის ესკალაციას მოახდენდა. როგორც კი ომი დაიწყო, ამერიკელებისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, რომ ჯონსონმა მათ ჯონ კენედის მკვლელობით გამოწვეული შოკი გადაატანინა, რომ მან ხელი მოაწერა კანონებს სამოქალაქო და საარჩევნო სამართალში... ამერიკელებმა დაივიწყეს პრეზიდენტის მიერ მიღებული სიღარიბის დაძლევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები.

ლინდონ ჯონსონის გადაწყვეტილებამ ვიეტნამის ომის ესკალაციის თაობაზე საქმე იქამდე მიიყვანა, რომ სკანდირება „ეი-ეი, ელ-ბი-ჯეი, რამდენია მსხვერპლი დღეის“ – თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ჯონსონთან ურთიერთობა გაწყვიტა მარტინ ლუთერ კინგმაც, რომელიც დიდად აფასებდა სამოქალაქო უფლებების დაცვაში პრეზიდენტის მიღწევებს.

პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, შესაძლოა ამჟამად ვერ აცნობიერებს, მაგრამ მან იგივე გააკეთა, რაც ლინდონ ჯონსონმა. აშკარად დასამარდა მისი პროგრამა აშშ-ის ბიუჯეტის თაობაზე, რომელსაც იგი „ერთ დიდ და მშვენიერ“ კანონს (One Big, Beautiful Bill _ OBBB) უწოდებდა და რომელიც ამერიკელების კეთილდღეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება ირანის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული ობიექტების დაბომბვის თაობაზე. დაივიწყეთ, რომ დონალდ ტრამპს ურთიერთობა გაუფუჭდა ილონ მასკთან და მის იდეებთან მთავრობის ეფექტური საქმიანობის თაობაზე. დაივიწყეთ, რომ დონალდ ტრამპი შურისძიებით დაემუქრა მის მიმართ მტრულად განწყობილ იურიდიულ კომპანიებს. დაივიწყეთ მისი კონფრონტაცია DEL-თან („თანასწორობა, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა“) და ტრანსგენდერებთან... თუ 6 იანვრის მოვლენები მისი პრეზიდენტობის პირველი ვადის განმსაზღვრელი სიმბოლო გახდა, მეორე ვადაში მან ხელი მოაწერა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის „გარდაცვალების“ ნეკროლოგს.

დონალდ ტრამპი ქადაგებდა, რომ ის იქნებოდა პირველი პრეზიდენტი, რომელიც თავისი უფლებამოსილების ვადებში ომს არ დაიწყებდა. გასულ წელს თავის ერთ-ერთ ბოლო საარჩევნო ღონისძიებაზე მიჩიგანის შტატში, მან ამერიკელ მუსლიმებს, რომლებსაც კამალა ჰარისი და ჯო ბაიდენი სძულდათ ისრაელის მხარდაჭერის გამო, ღაზას სექტორში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების ფონზე, ასე მიმართა: **„იცოდეთ, თუ კამალა გაიმარჯვებს, ჩვენ მხოლოდ სიკვდილი და ნგრევა გველოდება – იმიტომ, რომ იგი უსასრულო ომების მხარდამჭერია. მე მშვიდობის დამცველი კანდიდატი ვარ, უფრო ზუსტად კი – მე თვითონ ვარ მშვიდობა. მე მინდა, რომ ყოველმა ამერიკელმა მუსლიმანმა მხარი დამიჭიროს“.**

მუსლიმანებმა და არაბი ეროვნების ამერიკელმა ამომრჩევლებმა დონალდ ტრამპი გულუხვად დააჯილდოვეს – თავიანთი ხმები რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს მისცეს. ახლა კი ტრამპი მთლიანად მხარს უჭერს ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ირანი ერთ ნაბიჯზეა ბირთვული იარაღის შექმნისგანო. ისრაელის პრემიერს არც ჯო ბაიდენი უჭერებდა და არც კამალა ჰარისი.

დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება ბენიამინ ნეთანიაჰუსადმი მხარდაჭერის შესახებ ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს. ათი წლის წინათ, ამ თვეში, როცა დონალდ ტრამპმა გადაწყვეტილება მიიღო პრეზიდენტის პოსტზე ბალოტირებისათვის, მან ბარაკ ობამა გააკრიტიკა ირანთან ბირთვული მოლაპარაკების გამო და განაცხადა, რომ „თუ იგი [ბარაკ ობამა] ხელს მოაწერს შეთანხმებას, ისრაელის სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებს. ეს კატასტროფაა და ჩვენ ისრაელი უნდა დავიცვათ“.

2018 წელს დონალდ ტრამპი გამოვიდა ირანთან დადებული ბირთვული შეთანხმებიდან და თეირანის წინააღმდეგ სანქციები დააწესა. დონალდ ტრამპმა ბრძანება გასცა ირანელი სამხედრო მაღალჩინოსანის ყასემ სულეიმანის ლიკვიდაციის თაობაზე. მართალია, დონალდ ტრამპი პარალელურად ცდილობდა ირანთან დაახლოებასაც, თუმცა ახლა ნათელია, რომ ძალისხმევა განუხორციელებელი აღმოჩნდა.

კაცმა რომ თქვას, დონალდ ტრამპის მოქმედებაში მართლაც არაფერია გასაკვირი. როგორ მოიქცნენ მისი რესპუბლიკელი თანაპარტიელები – მისი წინამორბედები, მამა-შვილი ჯორჯ ბუშები? ჯორჯ ბუშ-უფროსს ამჟამად იხსენებენ როგორც კომპეტენტურ პრეზიდენტად სპარსეთის ყურის ომის დროს, ქუვეითის დამცველად, საგარეო პოლიტიკის ოსტატად, ხოლო მის შვილს, ჯორჯ ბუშ უმცროსს – 2003 წელს ანტიერაყული ომის წამომწყებად, რომელმაც მის პრეზიდენტობას ლაქა დაასვა.

დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება ირანის დარტყმის თაობაზე, რასაკვირველია, ვაკუუმში არ იქნება. სენატის რესპუბლიკელმა ლიდერმა ჯონ ტუნმა და წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა მაიკ ჯონსონმა პრეზიდენტს მხარი დაუჭირეს, თუმცა მათ მშვენივრად ესმით, რომ საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღება ამ მიზნით საკმაოდ ძნელი იქნება – მაგალითად, ფულის გამოყოფა ომისათვის, ისრაელის მხარდაჭერისათვის და ა.შ.

**ალბათ, გაჭიანურდება „ერთი დიდი და მშვენიერი კანონის“ მიღებაც. უფრო მეტიც, არამარტო კონგრესში, არამედ საზოგადოებაშიც კანონს მტრები გაუჩნდება.**

**ეს არ ნიშნავს იმას, რომ ტრამპს გარანტირებული აქვს წარუმატებელი და უიღბლო პრეზიდენტად დამახსოვრება, თუმცა მისი რეიტინგი ეცემა ისეთი კურსის გატარების დროსაც კი, როგორიცაა უკანონო მიგრაციასთან ბრძოლა, რომელსაც ამერიკელები მხარს უჭერენ.**



მოამზადა **სიმონ კილაძემ**

„ფაინენშელ თაიმსის“ ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის საიდუმლო დაზვერვის სამსახურის (MI6) ხელმძღვანელად ბლეიზ მეტრეველი დაინიშნა. ის პირველი ქალია, ვინც სააგენტოს არსებობის 100-ზე მეტი წლის ისტორიაში, ამ თანამდებობაზე დანიშნეს. გამოცემის ინფორმაციითვე, დიდი ბრიტანეთის საიდუმლო დაზვერვის ახალი ხელმძღვანელი ქართული წარმოშობისაა, კარგად ფლობს არაბულ ენას და დაზვერვაში 26-წლიანი კარიერის მანძილზე, მუშაობდა, როგორც MI6-ში, ასევე MI5-ში და ხელმძღვანელობდა „დეპარტამენტ Q“-ს, რომელიც რუსეთის, ჩინეთისა და ირანის საფრთხეებს აკონტროლებს.

„ფაინენშელ თაიმსის“ ცნობით, ბლეიზ მეტრეველი თანამდებობას ოფიციალურად ოქტომბერში, მას შემდეგ დაიკავებს, რაც სააგენტოს მოქმედ ხელმძღვანელს, რიჩარდ მერის ხუთწლიანი ვადა ამოეწურება. პრემიერ-მინისტრმა კირ სტარმერმა ბლეიზ მეტრეველის დანიშვნას ისტორიული უწოდა იმ ფონზე, როდესაც „დაზვერვის სამსახურების მუშაობა არასდროს ყოფილა ასეთი მნიშვნელოვანი“.

პარალელურად, „გარდიანის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ბლეიზ მეტრეველის ბებია მამის მხრიდან – ბელა სარუხანოვა ყოფილა ვარშავის სომხური თეატრის დირექტორის მოადგილე; ბაბუა – ბერლიოზ (ბესო) მეტრეველი, სახმელეთო ჯარების პოლკოვნიკი; დედის მხრიდან ბებია – ევა კრუპნიკი, ცნობილი პოლონელი პოეტი; ბაბუა – სოლომონ როზენბერგი, ცნობილი სიონისტი.




# ჯეიმს ბონდი კახურ ღვინოზე გადავიდა!..

## ვინ არის ბლეიზ მეტრეველი?

**მიმდინარე კვირის აქტუალური თემა დიდი ბრიტანეთის საიდუმლო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე ბლეიზ მეტრეველის დანიშვნაა. საერთაშორისო გამოცემებში გავრცელდა კიდეც სტატიები სათაურებით: „ჯეიმს ბონდი კახურ ღვინოზე გადავიდა“, „ბრიტანეთის საიდუმლო დაზვერვის სამსახურს (MI6) ახლა უკვე თავისი თამადა ჰყავს“.**

საერთაშორისო გამოცემებზე დაყრდნობით ვარკვევთ, რომ ბლეიზ ფლორენს მეტრეველი დაიბადა 1977 წლის 6 თებერვალს, აშშ-ში, ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში, ბრიტანელი დედისა და ქართული წარმოშობის მამის ოჯახში. დაბადებიდან მალევე, მისი ოჯახი ლონდონში დაბრუნდა და ბრენტის რაიონში დასახლდა, სადაც ბლეიზმა ბავშვობა გაატარა. ბლეიზის მამა, კონსტანტინე მეტრეველი, რადიოლოგი იყო, რომელიც 1986 წლიდან 2001 წლამდე, ხელმძღვანელობდა ჰონგკონგის სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ვიზუალიზაციისა და ინტერვენციული რადიოლოგიის დეპარტამენტს.

ვესტმინსტერის სკოლაში ბლეიზ მეტრეველმა წარმატებას მიაღწია, როგორც აკადემიურ საგნებში, ასევე სპორტში – ის მისდევდა ნიჩბოსნობას და კემბრიჯის უნივერსიტეტში, პემბროკის კოლეჯის ნავების ეკიპაჟში საკუთარი ადგილიც დაიმკვიდრა. იქ მან სოციალური ანთროპოლოგია შეისწავლა და 1997 წელს თავის გუნდს ქალთა ნავების ცნობილ რბოლაში, გამარჯვებაშიც დაეხმარა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1999 წელს, ბლეიზ მეტრეველი შეუერთდა საიდუმლო დაზვერვის სამსახურს (MI6). მან უმცროსი დაზვერვის ოფიცრად დაიწყო მუშაობა, მაგრამ სწრაფად გამოავლინა ტექნიკური და კულტურული გაგების შერწყმის უნარი. პირველი ათწლეულის განმავლობაში, ის მსახურობდა ოპერატიულ თანამდებობებზე ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, აგროვებდა ცოდნას დაზვერვაში და ამყარებდა პარტნიორობას ადგილობრივ სააგენტოებთან. 2000-იანი წლების ბოლოსთვის, დირექტორის პოზიციაზე დაწინაურდა გაერთიანებული სამეფოს შიდა კონტრდაზვერვის სამსახურში (MI5), სადაც ხელმძღვანელობდა ტერორისტულ ოპერაციებზე ორიენტირებულ გუნდებს.

ბლეიზ მეტრეველის ანთროპოლოგიურმა გამოცდილებამ უპირატესობა მოაპოვებინა სოციალური ქსელებისა და იდეოლოგიური მოტივაციების გაშიფვრაში, ხოლო მამის მეშვეობით, მოწინავე სამედიცინო ვიზუალიზაციისა და ტექნოლოგიებთან ადრეულმა შეხებამ, ინოვაციებზე ფოკუსირება შთააგონა.

2010-იან წლებში, როდესაც ციფრული საფრთხეები უფრო დაიხვეწა, ბლეიზს დაევალა ტექნოლოგიური სტრატეგიის ჩამოყალიბება. მან შექმნა კიბერდაზვერვის შეგროვების ჩარჩოები და ხელმძღვანელობდა მონაცემთა ანალიზის ერთეულების ბაზას, რომლებსაც შეეძლოთ საფრთხეების თვალ-ყურის დევნება გლობალურ ქსელებში. მკაცრი სტანდარტებისა და ეთიკური ზედამხედველობის რეპუტაციამ მას არაერთი დაწინაურება მოუტანა, რაც 2025 წლის შუა პერიოდისთვის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გენერალურ დირექტორად დანიშვნით დასრულდა – MI6-ში ეს ცნობილია, როგორც „დეპარტამენტი Q“. ამ თანამდებობაზე, ბლეიზ მეტრეველი ზედამხედველობდა გაჯეტების შემუშავებას, კიბერშესაძლებლობებსა და უსაფრთხო კომუნიკაციებს, რაც უზრუნველყოფს, რომ საველე ოფიცრები ოპერაციებისთვის უახლეს ინსტრუმენტებს მიიღებენ.

მომთხოვნი კარიერის გარდა, ბლეიზ მეტრეველი ინარჩუნებს დაბალანსებულ პირად ცხოვრებას. ცნობილია, რომ ის მდინარე თემზაზე ნიჩბოსნობით ტკბება, რაც უნივერსიტეტის წლებში შეუყვარდა. ნიჩბოსნობის დისციპლინა და რიტმი ასახავს მის მიდგომას სამუშაოსადმი – სტაბილური, ფოკუსირებული და გუნდზე ორიენტირებული. მეგობრები და კოლეგები ბლეიზს აღწერენ, როგორც მშვიდ, თანამგრძნობ და ინტელექტუალურად ცნობისმოყვარე ადამიანს.

## ვინ არის ბრიტანეთის საიდუმლო დაზვერვის ახალი ხელმძღვანელი ბლეიზ მეტრეველი?!

ინგლისურის გარდა, ბლეიზ მეტრეველი თავისუფლად საუბრობს არაბულ ენაზე, ფლობს ძირითად ქართულ ფრაზებსა და სასაუბრო ფრანგულს. ის არის მესამე თაობის წარმომადგენელი ქართველი მიგრანტის ოჯახიდან.

## ბლეიზ მეტრეველი, როგორც მასშტაბური ცვლილებების მარკერი?

**ბლეიზ მეტრეველის დანიშვნას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა საქართველოშიც, ამ მხრივ, განსაკუთრებით ოპოზიცია აქტიურობს, რაც რბილად რომ ვთქვათ, ღიმილისმომგვრელია.**

თუმცა, საინტერესოა, რას ნიშნავს ჩვენთვის ეს ფაქტი, რამდენად მნიშვნელოვანია და საერთოდ, შეიცვლება რამე ქვეყნის სასიკეთოდ, თუ არა. უსაფრთხოების ექსპერტი, პოლიტიკის ანალიტიკოსი, საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი**, რომელიც კონსერვატიული ფორმატის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, რეზიდენტი ავტორი გახლავთ, ამ პორტალზე გამოქვეყნებულ მის პოზიციას გვიზიარებს, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ:

**„თუ ჩვენში ჩაიარა უკვე „ვიწრო-კუთხურმა“ ეიფორიამ: „რაჭველი ქალი დაინიშნა ყველაზე საიდუმლო თანამდებობაზე!“, ცოტა დავწყნარდეთ: დიდი ალბათობით, ბიოლოგიურად ის არაა ქართველი, უბრალოდ, მის მამას ქართული გვარი მამინაცვლისგან (ბლეიზის ბაბუისგან) ერგო!!! ამას სჯობს, განვიხილოთ მის დანიშვნასთან დაკავშირებული ზოგადი საფრთხეები და პროფესიულ დონეზე თუ არ მოვემზადებით მომავალი შეტევების მოსაგერიებლად, ლოცვები მაინც გავაძლიეროთ.**

მაშ ასე, 116 წლის შემდეგ, პირველად ბრიტანეთის დაზვერვის ხელმძღვანელად ქალი დაინიშნა. ლიბერალური დღის წესრიგი დაკმაყოფილებულია, სათაურებიც აჭრელებულია, პუბლიკა ტაშს უკრავს. მაგრამ რაც მოხდა, ამის ძირითადი არსი არა გენდერულ ინკლუზიურობაში, არამედ თვით მმართველობის გენეტიკაში მდგომარეობს. ჩვენ თვალს ვადევნებთ არა სიმბოლურ დანიშვნას, არამედ თვით დაზვერვის ბუნების შეცვლას.

**მეტრეველი – არა პრეცედენტია, არამედ მასშტაბური ცვლილების მარკერია. არ დაგვავიწყდეს, რომ ის, წლების განმავლობაში, სწორედ Q განყოფილებას ხელმძღვანელობდა. და მიუხედავად იმისა, რომ ბევრისთვის ეს განყოფილება ჯეიმს ბონდის შესახებ სერიალთან ასოცირდება, სინამდვილეში, Q – არა ფანტაზია, არამედ MI6-ის ლოგიკაში, სახელმწიფოს ტექნიკური ძალის გულის ფუნქციის მატარებელია. სწორედ აქ იბადება ინსტრუმენტები, რომლებიც განაპირობებენ ინფორმაციის უფრო სწრაფად მართვას, ვიდრე ვინმე მოასწრებს მისი დამახინჯების დაფიქსირებას.**

მეტრეველის ხელმძღვანელობით, Q აღარ არის უბრალოდ საინჟინრო ლაბორატორია. ის აზრობრივი და ინტელექტუალური ომების არქიტექტურად იქცა. აქ მუშაობენ ხელოვნური ინტელექტის მოდულები, რომლებიც წინმსწრებად პროგნოზირებენ არასტაბილურობის აფეთქებებს მთელი პლანეტის მასშტაბით. აქ იქმნება ნეიროქსელების ისეთი სკრიპტები, რომლებიც ქცევითი შაბლონების ამოცნობას სწავლობენ. აქ ავტომატიზებულია „სოციალური პანიკის“ მართვა ციფრულ კლასტერებში, რომლებიც აღიქმებიან, როგორც ლოკალურები, სინამდვილეში კი ცენტრალიზებულად იმართებიან.

**მიუხედავად იმისა, რომ მეტრეველი განათლებით არა ინჟინერი, არამედ სოციალური ანთროპოლოგია – პირიქით, ეს ძალზე მნიშვნელოვანი სიგნალია. სწორედ ეს არის გარდევის წერტილი ძველ დაზვერვასა და მის ახალ ფორმას შორის. ანთროპოლოგია – ეს არის რიტუალების, ძალაუფლების ენებისა და აზროვნივი სტრუქტურების მეცნიერება. ჩვენს შემთხვევაში, ეს არის მოწინააღმდეგის მხრიდან ქართული ბუნების (ძლიერი და მოწყვლადი წერტილებით) შესასწავლად აუცილებელი გასაღები. თანამედროვე სამყაროში, სწორედ ანთროპოლოგია ხდება კიბერჯაშუშობის ცენტრალური ინსტრუმენტი, რადგან სწორედ ის ხსნის, როგორ მოძრაობენ მასები ციფრულ მედიაში, როგორ ვრცელდება „მემები“, როგორ მოდელირდება ფეიკებისა და ჭორების მიგრაცია – და რატომ არის ეს პროცესები უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ნებისმიერი „ბანალური“ საველე ანგარიში.**

**კი, ბატონო, მეტრეველის გამზრდელი ბაბუის ფესვები საქართველოშია – და ესეც არ არის „შემთხვევითი დამთხვევა“. სწორედ საქართველო და სამხრეთ კავკასიის რეგიონი, დიდი ხანია, იქცა ჰიბრიდული ომების სცენარების, ციფრული გადატრიალებებისა და პროქსი-ჩარევების საცდელ პოლიგონად. სწორედ აქ მიმდინარეობდა იმ კონსტრუქციების გამოცდა, სადაც სამხედრო ჩარევა ციფრულ არქიტექტურას უთმობს ადგილს. პირველად MI6-ს არა ოპერატიული ფიგურა, არამედ კულტურული აფეთქებების არქიტექტორი უხელმძღვანელებს.**

ნამდვილი ბრძოლის ველი დღეს – ეს არის ბრძოლა იმ ალგორითმებზე, რომლითაც სხვები დაინახავენ სამყაროს. **წმინდა ფორმალურად, Q განყოფილება რუს და ჩინელ ჰაკერებს ებრძვის. სინამდვილეში კი, ის ებრძვის რეალობის აღწერის ნებისმიერ სხვა ფორმას, რომელიც არ ექვემდებარება ანგლოსაქსურ მოდელს.** ამიტომ, ამ ბრძოლაში დღევანდელი საქართველო მოწინააღმდეგის სახით, მოწინავე პოზიციებზეა. დღეს ეს ბრძოლა მიმდინარეობს ასევე ციფრული სუვერენიტეტის წინააღმდეგ, რომელიც პლატფორმების უნივერსალიზმს უქმნის საფრთხეს.

**მეტრეველი – ეს უბრალოდ „ქალი მოვიდა სათავეში“ კი არაა, არამედ იმის სიმბოლოა, რომ დაზვერვა წყვეტს მოძველებული და დრომოჭმული კლასიკური შპიონაჟის ინსტიტუტს, თუნდაც ჩვენი „აკაცუკების“ სახით. დაზვერვა ყალიბდება პლატფორმად, რომელიც შეძლებს აზრების, მონაცემებისა და ემოციების ერთიან ზემოქმედებად პროეცირებას. მსოფლიომ ვერც კი შეამჩნია, როგორ დაემსგავსა დღეს MI6-Google-ს, ოღონდ, სახელმწიფო გადატრიალებებზე ლიცენზიით.**

მოამზადა

**მაია მიშელაძე**



# უკვე — რვაგზის!

**ლევან საგინაშვილი დაუმარცხებელია. ქართველმა მკლავჭიდელმა ჩიკაგოში გამართული EAST WEST 18-ის ღონისძიებაზე, სუპერმძიმე წონით კატეგორიაში ერმეს გასპარინი დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.**

იტალიელს რევანშის აღება სურდა, თუმცა არ გამოუვიდა. ქართველმა ჰალკმა მეტოქეს ყველა რაუნდში აჯობა. ერმესი იბრძოდა, მაგრამ ლევანის ფიზიკურმა უპირატესობამ და გამოცდილმა ტექნიკურმა სტრატეგიამ პოზიცია არ დათმო და საბოლოოდ, 5:0 მოიგო. ამრიგად, ლევანის ანგარიშზე გასპერინთან ორიდან ორი გამარჯვებაა.

საგინაშვილის დომინაცია კვლავ გრძელდება. ქართველმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მერვედ მოიპოვა.

# მიღწევათა კასკადი



**ჩეხეთის ქალაქ რაჩიცეში კანოეთი სპრინტსა და პარაკანოეში ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, სადაც საქართველოს სახელით მოასპარეზე სერჰი იემელიანოვმა (KL3 კატეგორია) 200-მეტრიანი დისტანცია 39,965 წამში დაფარა და ოქრო მოიხვეჭა. ეს საქართველოსთვის პარაკანოეს ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული პირველი მედალია.**

საქართველოს სახელით მოასპარეზე სერჰი იემელიანოვმა პარაკანოეს მსოფლიოს თასზეც მოუტანა საქართველოს პირველი წარმატება. სპორტის ამ სახეობაში აქამდე საქართველოს მედალი არ ჰქონია. მან ასევე ისტორიული ჯილდო მოიპოვა პორტუგალიაში გამართულ ევროპის პარაკაიაკის მარათონზე.

# კოლექცია ივსება

**შარშან გავშვობის კერპს რონალდუს შეხვდა, გოლიც გაუტანა და დაამარცხა კიდეც, ხოლო 29 ივნისს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მერვედფინალში უკვე მესის შეებმება. გეკითხებით – მეტი რაღა უნდა ინატროს 24 წლის ხვიჩა კვარაცხელიამ?**

ბოტაფოგოსთან წაფორხილების შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი ვალდებული იყო მასპინძელ სიეტლთან გამოესყიდა ცოდვები. უნდა ითქვას, რომ ლუის ენრიკეს გუნდმა უპრობლემოდ მიაღწია მიზანს – 2:0 და აღსანიშნავია, რომ ანგარიში კურიოზულ ვითარებაში ზურგით სწორედ პარი სენ-ჟერმენის ლიდერმა გახსნა, რომელიც იმავდროულად პრესტიჟულ ფორუმში გატანილი პირველი ქართული ბურთის ავტორი გახდა.



**ატლეტიკო – ბოტაფოგო 1:0.**

**ჯგუფის საბოლოო მდგომარეობა:** პარი სენ-ჟერმენი, ბოტაფოგო, ატლეტიკო – 6-6, სიეტლი – 0 ქულა. ასე რომ, პლეი-ოფში პრინციპული ბრაზილიური დერბი გველის: ბოტაფოგო – პალმეირასი. ამ უკანასკნელმა 0:2-ის შემდეგ ადვილად პროგნოზირებადი ზავი გააფორმა მესის ინტერ მაიამისთან – 2:2.



# იტალიური გამოცდა

**უმცროს გორჯდალოსანთა სამწვრთნელო შტაბმა იტალიაში გასამართი მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის 30 მოთამაშე შეარჩია.**

მათ შორის 17 მორკინალი და 13 ხაზის მოთამაშეა. მათგან 10 ლეგიონერია, 20 კი ქართულ კლუბებს წარმოადგენს: 1 „შავი ლომიდანაა", 7 „ლელოდან", 4 ქუთაისის „აიას" წარმოადგენს, 3 „არმიას", ორ-ორი „ბათუმსა" და „ხვამლს", კიდევ ერთი კი პატარძეულის „ვეფხვებს". საგულისხმოა, რომ სატურნირო რაზმში 8 2006, ხოლო 4 2007 წელს დაბადებული მოთამაშეა.

გუნდმა იტალიისკენ გეზი 23 ივნისს აიღო, 26-ში ავსტრალიასთან ერთობლივი ვარჯიში ექნება, 29-ში კი ტურნირი იწყება.

**„შეგვიძლია ვთქვათ, რომ მზადება უკვე დასრულდა და მივფრინავთ იტალიაში, სადაც ცოტას დავისვენებთ და საერთო ვარჯიში გვექნება ავსტრალიასთან. ფიზიკური მომზადების მხრივ ოპტიმალურ კონდიციებთან ახლოს ვართ. რა თქმა უნდა, არიან მოთამაშეები, რომლებიც გვიან შემოგვიერთდნენ, თუმცა ისინი საფრანგეთში თამაშობენ და უკვე მზად არიან. ახლა მთავარია რაც შეიძლება სწრაფად შევიდეთ ოპტიმალურ კონდიციებში. როდესაც ფიზიკურად დიდხანს ვარჯიშობ და გინდა ეს მოედანზე გადაიტანო, ამისათვის საჭიროა თამაშები. ამიტომ ვფიქრობ, რომ ინგლისთან თამაში ძალიან საჭირო და მაგარი გაკვეთილი იყო ჩვენთვის"** – ამბობს მთავარი მწვრთნელი **ლადო კილასონია**.

20-წლამდელთა ჩემპიონატს წელს იტალია (მესამედ 2011 და 2015 წლების შემდეგ) უმასპინძლებს. ის 29 ივნისს დაიწყება და 19 ივლისს დასრულდება, თამაშები კი ლომბარდიისა და ვენეტოს ოთხ ქალაქში გაიმართება: კალვიზანო, როვიგო, ვერონა და ვიადანა.

საქართველო **გ ჯგუფში** მოხვდა და 29 ივნისს კალვიზანოში ირლანდიას შეხვდება; 4 ივლისს ახალ ზელანდიას ვიადანაში ეთამაშება; 9 ივლისს კი იტალიას კალვიზანოში შეერკინება. ნახევარფინალური თამაში 14 ივლისს ვერონაში, ან ვიადანაში გვექნება, ხოლო ფინალური თამაშები 19 ივლისს კალვიზანოსა და როვიგოში გაიმართება.

20-წლამდელთა ჩემპიონატის **ა ჯგუფში** ინგლისი, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა და შოტლანდია, ხოლო **ბ ჯგუფში** საფრანგეთი, არგენტინა, უელსი და ესპანეთი მოხვდნენ.

2016 წლიდან მოყოლებული, საქართველო 12-გუნდა ელიტის უცვლელი მონაწილეა და საუკეთესო შედეგი 2023 წელს აჩვენა (მე-8 ადგილი), შარშან და 2018 წელს მე-9 ადგილი დაიკავა, ხოლო 3-ჯერ მე-10-ე (2016, 2017 და 2019) იყო. 2020-2022 წლებში ტურნირი კოვიდ-პანდემიის გამო ვერ ჩატარდა.

# კარგი ამბები



## ფეხბურთი

**რაზგრადი (ბულგარეთი).** 14-წლამდელთა პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი „ვივაკომის თასი". **ფინალი.** თბილისის „დინამო" – ბელგრადის „პარტიზანი" 1:0 (ბაკურია) მიხეილ ზაზახიძის გაწვრთნილმა გუნდმა მანამდე ერთნაირი ანგარიშით – 2:0 სძლია პაოკს, „ბენფიკასა" და „სტიაუას". ითამაშეს აგრეთვე მასპინძელმა „ლუდოგორეცმა", „ფენერბახჩემ" და აჰმედოვის აკადემიამ (უზბეკეთი).

რაც შეეხება ინდივიდუალურ პრიზებს, მათი მფლობელები გახდნენ: საუკეთესო მეკარე **ნიკოლოზ კაჭახიძე** (ბურთი არ გაუშვია), საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი – **გიორგი ღუნაშვილი.**

## მხატვრული ტანვარჯიში

**სოფია (ბულგარეთი).** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბურთით ვარჯიში. **ბრინჯაო** – ნიტა ჯამაგიძე (25.550 ქულა). ეს უმაღლესი რანგის ფორუმზე მოპოვებული პირველი ქართული მედალია!

## პარაძალოსნობა

**ჩინეთი.** მსოფლიო თასი. **2 ოქრო** – აკაკი ჯინჭარაძე (+107 კგ). **2 ვერცხლი** – გიორგი ლაცაბიძე (+107 კგ).

## წყალბურთი

**ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. ფინალი.** სპორტმენეჯმენტი – დინამო 14:13. ეს გამარჯვებული გუნდის პირველი ტიტულია. **შეხვედრა მე-3 ადგილისთვის.** არენა – თბილისი 12:10.

## ჩოგბურთი

**ინგლისი.** უიმბლდონის საკვალიფიკაციო ეტაპი. **მეორე წრე.** ნიკოლოზ ბასილაშვილი – პაბლო ლიამა რუისი (ესპანეთი) 6:3, 4:6, 6:3. საქართველოს პირველი ჩოგნის მორიგი მეტოქე 25 ივნისს ჰონგკონგელი ჩაკ ლამ ვონი იქნება.

# მარცხი ელანძეა...

**ტრაგიკულად გაიხსნა კვანძი ნბა-ს სუპერფინალური სერიის გადამწყვეტ – მეშვიდე შეხვედრაში ოკლაჰომასა და ინდიანას შორის.**

მატჩი სტუმართა ლიდერის **ტაირის ჰალიბარტონის** ჩაგდებული ზედიზედ 3 სამქულიანით დაიწყო და ყველანი უმძაფრეს სატიტულო ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ მალევე პეისერზის სნაიპერს უწყინარ ვითარებაში დაახლოებით იმავე ადგილზე, საიდანაც მანამდე უმოწყალოდ დაბომბა თანდერის კალათი, ფეხი აუსრიალდა და ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა.

მეტოქის ასეთი ფსიქოლოგიური დარტყმა მასპინძელთათვის კიდევ ერთი, საკმაოდ წონადი სტიმული აღმოჩნდა – 103:91 (სერიის ანგარიში 4:3) და ოკლაჰომა პირველად დაეუფლა ოქროს ბეჭდებს.





# მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ!



**„ლელო – ძლიერი საქართველოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე სასამართლომ პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობის ფაქტზე დამნაშავედ ცნო.**

მოსამართლის გადაწყვეტილებით, მას 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და აეკრძალა თანამდებობის დაკავება 2 წლის ვადით.

როგორც ვიცით, მამუკა ხაზარაძე საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაზე ახსნა-განმარტების მისაცემად დაიბარეს, სადაც ის არ გამოცხადდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლით წარუდგინეს, რაც „საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობას“ გულისხმობს, აღნიშნული ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთის ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

* * *

**„ლელოს“ ერთ-ერთ ლიდერს ბადრი ჯაფარიძეს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობის ფაქტზე თბილისის საქალაქო სასამართლომ რვა თვით პატიმრობა შეუფარდა. ასევე მას ორი წლით თანამდებობის დაკავება აეკრძალა.**

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გუშინ გამოაცხადა. სხდომას ჯაფარიძე არ დასწრებია.

**ბადრი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე 25 მარტს ახსნა-განმარტებისთვის იყო დაბარებული, სადაც ის არ გამოცხადდა. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლით წარედგინა, რაც „საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობას“ გულისხმობს.**

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ბადრი ჯაფარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით 50 000-ლარიანი გირაო 5 აპრილს შეუფარდა, რაც კანონით დადგენილ ვადაში გადაიხადა.**

ამასთან, გამოცხადდა „ლელოს“ ლიდერიც მამუკა ხაზარაძის განაჩენიც. ხაზარაძესაც სასამართლომ რვა თვით პატიმრობა შეუფარდა და ორი წლით თანამდებობის დაკავება აუკრძალა.

## მკვლელობა ლაგოდეხში

**მკვლელობა მოხდა ლაგოდეხში. მოკლულია 57 წლის მამაკაცი. შემთხვევა ვაშლოვანის ქუჩაზე გუშინ, დილით მოხდა.**

**ადგილობრივების ინფორმაციით, სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ორ პირს შორის დაპირისპირება ყოფით ნიადაგზე დაიწყო, რა დროსაც ერთ-ერთმა მეორე ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა.**



დაჭრილი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა ლაგოდეხის არქიმედეს კლინიკაში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. სავარაუდო დამნაშავე პოლიციამ უკვე დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## გიორგი დალმამშენებელიც დაკავებულია



**„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი დალმამშენებელი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დააკავეს.**

**„სტრატეგია აღმაშენებლის“ ოფისში სამართალდამცველები მივიდნენ და მას ბრალის დადგენილება გააცნეს.**

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობის ფაქტზე თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ გიორგი ვაშაძეს შვიდი თვით პატიმრობა შეუფარდა და ორი წლით თანამდებობის დაკავება აუკრძალა.



## მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძრის მდგომარეობა გაუმჯობესდება

**საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე გელა დავითულიანი, წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარში არსებულ მდგომარეობას პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუასთან, მარტვილი-აბაშა-წალენჯიხა-ჩხოროწყუს დელეგატ, პარლამენტის ვიცე-სპიკერ ილია ინჯიასთან და ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის მღვდელმსახურ მამა ილია სარიასთან ერთად გაეცნო.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის გუმბათზე გასულ წელს მეხის დაცემის შედეგად დაზიანებულ მონაკვეთებზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიუხედავად, ტაძარი კვლავ რჩება გამოწვევების წინაშე.

**ტაძარში პრობლემების აღმოსაფხვრელად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ჩაატარებს კვლევას და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.**






## უნივერსიტეტი პოეზიის დედოფლის თაყვანისმცემლებს ელის

**27 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკის „მეგობართა კლუბი“ ანა კალანდაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მართავს, სახელწოდებით „ანა – 100“.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ღონისძიებას დაესწრებიან ანა კალანდაძის ოჯახის წევრები. წარმოდგენილი იქნება პოეტის საოჯახო ფოტოები და ხელნაწერები. **ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ბიბლიოთეკის მეგობართა კლუბის წევრები და ჭოხონელიძეების სტუდია.**

## გოგიტა თოდრაძე ევროპის სტატისტიკოსთა ბიუროს წევრად აირჩიეს

**გოგიტა თოდრაძე ევროპის სტატისტიკოსთა ბიუროს წევრად აირჩიეს. არჩევნები ჟენევაში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ორგანიზებით ჩატარდა.**

ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენცია რეგიონის ოფიციალური სტატისტიკის მართვის უმაღლესი ორგანოა, რომელიც 56 ქვეყანას აერთიანებს.

# უკვდავი კინოსცენარისტი

**ცნობილი ქართველი კინოდრამატურგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულიკო ჟღენტის დაბადებიდან 100 წელი გავიდა.**

საქართველოს კულტურის სამინისტრო პატივს მიაგებს სულიკო ჟღენტის ხსოვნას და მის ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე.

**„სულიკო ჟღენტი იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ბათუმისა და თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი.**

**მისი მოთხრობები იბეჭდებოდა ბათუმის ჟურნალ-გაზეთებში. 1962 წელს გამოიცა: „ზღვისპირეთის საღამოები“ და „კიდევაც დაიზრდებიან“.**

**1956 წლიდან მუშაობდა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში რედაქტორად და სცენარისტად. 1971 წლიდან იყო „ქართული ფილმის“ სცენარისტი და რედაქტორი.**




**სულიკო ჟღენტი 20-ზე მეტი კინოსცენარის ავტორია. მათ შორისაა: „ჭიაკოკონა“, „ბურთი და მოედანი“, „ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „ციმბირელი პაპა“ , „რაჭა – ჩემი სიყვარული“, „ფესვები“, „ნერგები“, „წუთისოფელი“, „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ და სხვა. დატოვა განუხორციელებელი სცენარები მომავალი ფილმებისათვის: „შავი ელვა“, „სიყვარულის კუნძული“, „იბერიული ბალადა“, „სტალინი“, „იყავნ ნება შენი“, „წინ დასასრულია“.**

სულიკო ჟღენტის სახელი მინიჭებული აქვს ქუჩებს თბილისსა და ბათუმში. ბათუმის ბულვარში კი დგას ხელოვანის ძეგლი-ბიუსტი. სულიკო ჟღენტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ 2020 წელს, მისმა ქალიშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა და კინოდოკუმენტალისტმა ოლიკო ჟღენტმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ავტორი და მისი გმირი“.

**დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.**

# ვირტუოზი გიტარისტი თემურ ყვითელაშვილი საიუბილეო კონცერტზე გვეპატიჟება!




**26 ივნისს, 20 საათზე, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გიტარისტის – თემურ ყვითელაშვილის საიუბილეო სოლო კონცერტი გაიმართება. მას 4 ივლისს 65 წელი უსრულდება.**

თემურ ყვითელაშვილი თვითნასწავლი გიტარისტი, კომპოზიტორი, პედაგოგი და არანჟირების ავტორია. მისი მუსიკა მოიცავს ჯაზის, როკის, კლასიკური მუსიკის, პოპმუსიკის, ფლამენკოსა და ქართული ხალხური მუსიკის ელემენტებს. მოღვაწეობის პერიოდში ყვითელაშვილმა შეიმუშავა გიტარაზე დაკვრის საკუთარი სტილი.

იგი პირველი ქართველი გიტარისტია საქართველოში, რომელმაც დაიწყო ქართული კლასიკური და თანამედროვე მუსიკის დამუშავება და ტრანსკრიფციების შექმნა ელექტროგიტარისთვის.

**„ერთი თვეა, ამ კონცერტით ვცხოვრობ. ისე ვღელავ, თითქოს პირველად გამოვდიოდე სცენაზე. 50 წელია, ვმოღვაწეობ, არსად ვმუშაობ. ერთი დღე არ მიმუშავია. მხოლოდ ეს არის ჩემი ცხოვრება“.**

მუსიკოსის თქმით, 26 ივნისს 7 ახალი ნაწარმოები შესრულდება, აქედან ორი საავტორო ნაწარმოებია. მათ შორის, ძველი, მაგრამ პოპულარული ნაწარმოებებიც შესრულდება. თუნდაც „ყვავილების ქვეყანა“.

**„ეს რომ არ დავუკრა, ალბათ განაწყენებული წავა მაყურებელი. მსოფლიოს მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ყველა არტისტს აქვს 5-6 ნაწარმოები, რომლებსაც ყველა კონცერტზე ასრულებს“.** თემურ ყვითელაშვილის თქმით, **„ყოველი კონცერტი უნდა იყოს მაყურებლისთვის დამაფიქრებელი, ეს აუცილებელია, ადამიანი უფრო უკეთესი რომ გახდეს. უფრო მეტიც, ეს არტისტის დანიშნულება უნდა იყოს. ყველა კონცერტს ყოველთვის თანაბარი პასუხისმგებლობით ვუდგებოდი, ამიტომ არც ეს კონცერტი იქნება გამონაკლისი თავისი სიახლეებით, მუხტით და გულით, პატივისცემით. მხედველობაში მაქვს მაყურებელი“.**



# „ჯაყოს ხიზნები“ თოჯინების სახლში

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით თოჯინების სახლში რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის „ჯაყოს ხიზნების“ საპრემიერო ჩვენება გაიმართა.**

მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ახლებური ვერსია საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებაში შემავალი ოთხი თეატრის ერთობლივი წარმოდგენაა. სპექტაკლზე შემოქმედებითი ჯგუფი 2024 წელს ლევილის მამულში მუშაობდა.

წარმოდგენაში მონაწილეობენ თბილისის, ბორჯომის, ახალციხისა და ქუთაისის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების მსახიობები: **დავით ბერიძე, აბელ სოსელია, მარიამ ლომიძე, თეა კიწმარიშვილი, თათია ბაქრაძე, რამონა მიქელაძე, მიხეილ ბერიძე, ოთარ ფადარაშვილი.**

მუსიკალური და მხატვრული გაფორმება ნიკოლოზ საბაშვილს ეკუთვნის. პრემიერას საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე** დაესწრო.

# ანსამბლ „მართვეს“ კონცერტი გონიოს ციხესთან

**აჭარის კულტურის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამის „მუსიკალური ბათუმი 2025“ ფარგლებში, გონიოს ციხის ტერიტორიაზე ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეს“ კონცერტი გაიმართა.**

აჭარის კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ანსამბლი მსმენელის წინაშე მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით წარდგა. საღამო ფოლკლორისტისა და ლოტბარის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის კულტურის მინისტრი ელისო ბოლქვაძე, ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მურვანიძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

**აჭარის კულტურის მინისტრის ელისო ბოლქვაძის განცხადებით, „მუსიკალური ბათუმი 2025“ პროგრამის მიზანია, წელიწადის ოთხივე სეზონი დაიტვირთოს საინტერესო და მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებებით, რათა რეგიონი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს ვიზიტორებისთვის და განვითარდეს კულტურული ტურიზმი.**

**ღონისძიება ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა მიშო ჯავახიშვილმა გახსნა და აჭარის კულტურის მინისტრს მადლობა გადაუხადა ქართული ფოლკლორის ხელშეწყობისა და მხარდაჭერისთვის.**



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 27 ივნისს